საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეტისიბაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 30 მარტი. 2022 წ. №44 (9382) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

უნდა ვაჩვენოთ აფხაზებს, რომ ჩვენ მათი პრობლემები ძალიან გვაწუხებს!

9

კოლხეთი ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აბშილ-აფხაზებს და სვანებს.

ივანე ჯავახიშვილი

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ არარატ მირზოიანს შეხვდა. უწყების ცნობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობები განიხილეს. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში არსებული ვითარება. ყურადღება დაეთმო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ „მშვიდობიან სამეზობლო ინიციატივას“, რომელიც მიზნად ისახავს დიალოგის ფორმატის ჩამოყალიბებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა მშვიდობიან თანამშრომლობას და თანაარსებობას სამხრეთ კავკასიაში და მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონულ დიალოგში.

შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რუბენ სადოიანი, მინისტრის მრჩეველი ვაჰან კოსტანიანი და მინისტრის ასისტენტი რობერტ აბისოგომონიანი.

ქორები პარლამენტის ცაზე

3

2

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის საგანგებო განცხადება

ძმათა-მკვლელი ომი უპატიებელი დანაშაულია!..

რუსეთის დეპუტინიზაცია

4

რუსებმა უნდა გავაკეთოთ!

მიხაილ შიშკინი:

პუტინი სიმპტომია და არა დაავადება...

კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა უფრო საშიშია!

5

ომარ მარგველაშვილი

გალაკტიონი და ნესტორას ⑥ ჯიხური

..ახლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერიის
მტირეზე მტირე, რიცხობრივად პატარა ერი,
მარად ყოველმხრივ შემორტყმული უამრავ მტერით,
მაინც გადარჩა, და გადარჩა ის, როგორც ერი,

- -

აი, რად უყვართ საქართველო მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს...

29 მარტი – ხმა თურქეთიდან

BBC: უკრაინა მზად არის, უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ ნეიტრალური სტატუსი მიიღოს!

BBC-ს ინფორმაციით, სტამბოლში რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შემდეგ უკრაინის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტორებს შორის განიხილებიან პოლონეთი, ისრაელი, თურქეთი და კანადა. ნეიტრალური სტატუსის შემთხვევაში უკრაინა ნატოს წევრობაზე უარს იტყვის.

ამასთან, მათი წინადადება რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის სტატუსის შესახებ 15-წლიან საკონსულტაციო პერიოდს ითვალისწინებს. უკრაინისა და რუსეთის დელეგაციების მოლაპარაკებები სტამბოლში 29-30 მარტს იმართება. ამასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ კიევისა და ჩერნიგოვის მიმართულებებზე სამხედრო აქტივობის შემცირება გადაწყვიტეს.

ძმათამკვლელი ომი უპატიებელი დანაშაულია!..

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის საგანგებო განცხადება

„როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ შედგა „ომის პარტიის“ — ნაციონალური მოძრაობის მორიგი ვიზიტი უკრაინაში. როგორც გაირკვა, ვიზიტმა „წარმატებით“ ჩაიარა, რადგან მისი დასრულებისთანავე, უკრაინის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა ღიად დაიწყეს საუბარი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნისა და უკრაინაში მიმდინარე ომის საქართველოში გადმოტანის მიზანშეწონილობაზე. უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის, ალექსეი დანილოვის განცხადება ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო“, — განაცხადა 28 მარტის ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

„ჩვენ საზოგადოებას არაერთგზის გავუზიარეთ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ მოწყობილი ყველა პროვოკაციის უმთავრესი მიზანი უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩათრევა და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა გახლდათ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება მუდმივი მოწოდებები რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების შესახებ; ამავე მიზანს ემსახურებოდა უმძიმესი პროვოკაციული მცდელობა, საქართველოს მთავრობის ნებართვით უკრაინაში გაგზავნილიყო მოხალისე მებრძოლებით სავსე თვითმფრინავი; ამავე მიზანს ემსახურებოდა დისკრიმინაციული პროპაგანდა რუსი ეროვნების მოქალაქეების წინააღმდეგ, მოწოდებები ხელისუფლების მიერ იარაღის შეძენისკენ (ყველას გახსოვთ, მაგალითად, გიორგი მარგველაშვილის განცხადებები ამასთან დაკავშირებით), სამხედრო სტატუსის შესახებ თემის სპეკულაციური წამოწევა, მოწოდებები ხელისუფლების მიერ უხეში რიტორიკის გამოყენებისკენ და ა.შ. საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევაც იყო „ომის პარტიის“ მიერ ორგანიზებული პოლიტიკური ზეწოლის აქტი, რომელიც საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევასა და საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ცვლილებას ისახავდა მიზნად. როგორც საზოგადოებას მოეხსენება, საქართველოს ხელისუფლებამ „ომის პარტიის“ ყველა ამ პროვოკაციას სათანადოდ უპასუხა და ქვეყანაში ვითარების ესკალაცია არ დაუშვა.

საქართველოში სამხედრო კონფლიქტის გადმოტანის მიზანს ემსახურება, აგრეთვე, „ომის პარტიის“ პირდაპირი თუ ირიბი საუბრები ე.წ. შესაძლებლობის ფანჯარაზე და მოწოდებები ომის გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რჩება მშვიდობიანი დეოკუპაციის პოლიტიკის ერთგული და წინ აღუდგება ყველა პროვოკაციას, რომელიც ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ახალი სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას ისახავს მიზნად. ყველას კარგად გვესმის, რომ ნებისმიერი ომი აფხაზეთსა და ცხინვალში იქნება არა მხოლოდ ომი ქართველებსა და რუსეთის საოკუპაციო ძალებს შორის, არამედ, ასევე, ომი ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის. ახალი ძმათამკვლელი ომი იქნება უდიდესი, უპატიებელი დანაშაული ჩვენი ქვეყნის ისტორიის წინაშე, რასაც ჩვენ აღარ დავუშვებთ.

თუ არსებული მძიმე ვითარება ქმნის რაიმე შესაძლებლობის ფანჯარას ამ თვალსაზრისით, ეს არის შესაძლებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს გავუწოდოთ დახმარების ხელი გამწვავებულ სოციალურ პრობლემებთან გასამკლავებლად.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, სათანადო პასუხს გასცემს „ომის პარტიის“ ყველა პროვოკაციას და არ დაუშვებს საქართველოს ჩათრევას სამხედრო კონფლიქტში. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის წინაშე“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური

2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, აშშ საქართველოსთვის 88 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს!

„აშშ-ის დახმარება ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიზაციას, ეკონომიკურ განვითარებას, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და კრემლის მავნე გავლენასთან გამკლავებას. დაფინანსება ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის განმტკიცებასა და კანონის უზენაესობას, უფრო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; გააუმჯობესებს დამოუკიდებელ, სანდო და დაბალანსებულ მედიაზე წვდომას; ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პლურალიზმს; მხარს დაუჭერს შერიგების მცდელობებს, მათ შორის აფხაზეთში; გაზრდის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის განვითარებას; ხელს შეუწყობს რეფორმებს, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად; ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაფართოებას; ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. გაზრდილი დაფინანსება ხელს შეუწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების, აგრეთვე ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას და რუსეთის მავნე გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინტეგრაციას“, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის ხაზით „ევროპისა და ევრაზიის“ დახმარების პროგრამისთვის, რომლის ერთ-ერთი ბენეფიციარი საქართველოა, სახელმწიფო დეპარტამენტი 24.9 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს.

ბიუჯეტის პროექტში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამები აძლიერებს როგორც რეგიონალურ უსაფრთხოებას, ასევე ურთიერთქმედებას აშშ-ის, ნატოს და ევროპულ შეიარაღებულ ძალებს შორის და ეხმარება რუსული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება საგარეო სამხედრო დაფინანსების ხაზს, „ევროპისა და ევრაზიის“ დახმარების პროგრამისთვის სახელმწიფო დეპარტამენტი 352 მილიონი დოლარის გამოყოფას გეგმავს, რომლის პრიორიტეტული მიმღებები უკრაინა, საქართველო, ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა არიან.

დავით ზალკალიანმა სომეხ კოლეგას უმასპინძლა

საძართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან არარატ მირზოიანთან, რომელიც თბილისს სამუშაო ვიზიტით სტუმრობს. მინისტრებმა სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მიმდინარე დღის წესრიგი და ასევე რეგიონში შექმნილი ვითარება მიმოიხილეს, — ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მინისტრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოსა და სომხეთს შორის მაღალი დონის კონტაქტების დინამიკა, რაც ხელს უწყობს ორი ქვეყნის კიდევ უფრო დაახლოებასა და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებას. ამ მხრივ მინისტრები მიესალმნენ ქვეყნებს შორის ეკონომიკური კომისიების გამართვის რეგულარულ ხასიათს.

საუბარი შეეხო სამხრეთ კავკასიაში მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ წელს საქართველოსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილე აღინიშნება და ხაზი გაუსვეს ამ თარიღის მნიშვნელობას.

ზაალ ანჯაფარიძე: პაატა ბურჭულაძე ნაცმოძრაობის რიგით რუპორად მას შემდეგ ჩამოლაბორანტდა, რაც პატრონ სააკაშვილს იმედები ვერ გაუმართლა!

დაკარგა აზრი მათთან პოლემიკამ, უბრალოდ ამნეზია შეყრილ საზოგადოების ნაწილს იმას შევახსენებ, თუ რა შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში მეტი თავისუფლების და დემოკრატიის სასარგებლოდ 2012 წლის შემდეგ და რომ სააკაშვილი დამსახურებულად ზის ციხეში, — ასე ეხმიანება ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე პაატა ბურჭულაძის განცხადებას — რომ ბიძინა ივანიშვილმა და სააკაშვილმა ერთმანეთს ადგილსამყოფელები უნდა გაუცვალონ.

„ნაცმოძრაობის რიგით რუპორად ჩამოლაბორანტდა პაატა ბურჭულაძე. მას შემდეგ, რაც პატრონს მიშა სააკაშვილს იმედები ვერ გაუმართლა. ის და სხვებიც დღეს ორკესტრირებულად მღერიან ერთ სიმღერას, რომ თითქოს საქართველოში არაფერი იცვლება, დემოკრატია და თავისუფლება იზღუდება და ა.შ. დაკარგა აზრი მათთან პოლემიკამ, უბრალოდ ამნეზიაშეყრილ საზოგადოების ნაწილს იმას შევახსენებ, თუ რა შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში მეტი თავისუფლების და დემოკრატიის სასარგებლოდ 2012 წლის შემდეგ და რომ სააკაშვილი დამსახურებულად ზის ციხეში.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის კანონი, როგორც ჰუმანური აქტი, შეეხო 17 053 ადამიანს და უკანონოდ დაპატიმრებული ათასობით ადამიანი დაუბრუნდა ოჯახს.

„ამნისტიის შესახებ“ 2013 წლის 28 ივლისის კანონით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდა ყველა ის პირი, რომელიც კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებდა უკანონოდ მოპოვებულ პირადი ან ოჯახური საიდუმლოს შემცველ ინფორმაციას.

„სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებების შეტანით გაუქმდა უპირობოდ სასჯელების შეკრებითობის პრინციპი, რაც უზომოდ მაღალი სასჯელების გამოტანას იწვევდა და ნაცმოძრაობის რეჟიმის ხელწერად იძცა. 2015 წლის იანვრიდან ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად და ან დამნაშავედ მიჩნევა საერთოდ დაუშვებლად გამოცხადდა. ამით დასრულდა ანონიმურ წყაროზე მითითებით ირიბი ჩვენების სასამართლო მტკიცებულებად „გაპრავების“ ეპოქა, რაც „ნაცმოძრაობამ“ დანერგა. 2013 წლიდან ადვოკატებს სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება დაუბრუნდათ. 2009 წლიდან ადვოკატებს ეს უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით, 9 წლის განმავლობაში სასამართლოების გამოკეტილი კარი გაიღო და სხდომები საზოგადოებისთვის ღია გახდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახალხო დამცველის უფლებები, რომელებსაც ბოროტად იყენებს ამჟამინდელი ე.წ. „სახალხო დამცველი“ შემიძლია ჩამონათვალი გავაგრძელო და საკმაოდ გრძელი სია გამომივა, თუმცა ვფიქრობ ესეც საკმარისია“.

სოზარ სუბარი: კეზერაშვილს ჯარში ნახევარქათამას ეძახდნენ!

დავით კეზერაშვილი არის ადამიანი, **რომელსაც საქართველოს ჯარში სამარცხვინო სახელი ეწოდებოდა — ნახევარქათამა. ნახევარქათამასავით ყლაპავდა ჯარისთვის და ქართველი ჯარისკაცებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს,** — ამის შესახებ პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სოზარ სუბარმა განაცხადა. მისი თქმით, კეზერაშვილს ოდესმე იმ თანხების დაბრუნებაც მოუწევს, რომელსაც ევროპელ პენსიონერებს პარავს ე.წ. ქოლცენტრების მეშვეობით.

„საქართველოს სასამართლოს მიერ დავით კეზერაშვილი არაერთხელ დამნაშავედ იყო ცნობილი. გასულ წელს და ახლა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ სამოქალაქო სარჩელით ხუთ მილიონ ევროზე მეტის გადახდა დაეკისრა. ანუ, მას ამ თანხის გადახდა მოუწევს.

ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობის დაფინანსების ნაცვლად უკეთესი იქნება ის თანხა გადაიხადოს, რაც ქართულ ჯარს მოჰპარა. ალბათ, მას ოდესმე იმ თანხების დაბრუნებაც მოუწევს და პასუხისმგებლობის აღება, რომელსაც ევროპელ პენსიონერებს ჰპარავს ე.წ. ქოლცენტრების მეშვეობით. იმ ქოლცენტრების, რომელსაც ვითომ ჩვენ ვმართავთ და მის მიერ დაფინანსებული ქართული ტელევიზიები ხელისუფლების წარმომადგენლებს სრულიად დაუსაბუთებლად აბრალებენ“, — განაცხადა სუბარმა.

ქორეები პარლამენტის ცაზე

ცნობილმა ქორმა სალომე სამადაშვილმა აიტაცა თანაქორ ხატიას იდეა და წამოაყენა წინადადება, პირადად ვთხოვოთ პრეზიდენტ ზელენსკის, მიმართოს საქართველოს პარლამენტსო, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი იძულებული გახდა, მკაცრად განეცხადებინა, ნაცმოძრაობისა და „ლელოს“ უკრაინასთან დაკავშირებულ არცერთ თაოსნობას არ განვიხილავთო

უკრაინაში ომი ახალ ფაზაში გადავიდა: ბლიცკრიგი, რომელმაც ოკუპანტისთვის მოსალოდნელი და სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, პოზიციურ ბრძოლაში გადაიზარდა – მტერი ცდილობს არა ერთბაშად დიდი ტერიტორიის მოპოვებას, არამედ უკვე მიღწეული წარმატების განმტკიცებას, ცდილობს მასშტაბურად მოსპოს, გაავერანოს ქალაქები და სოფლები. ამიტომ დაემსგავსა სოდომსა და გომორს ხარკოვი, მარიუპოლი, ამიტომ მკვეთრად იმატა უღვთოდ დახოცილი მოქალაქეების სახელდახელო, საძმო საფლავებმა სკვერებსა და ეზოებში.

ოღონდ უკრაინა ჯერაც ფეხზე დგას, ცოცხლობს და იბრძვის. იგი მოფენილია ნაქალაქარებით და განადგურებული საბრძოლო ტექნიკით. ეს ორი სინამდვილე განუყოფელია: ნახანძრალი საცხოვრისები და დამწვარი ტანკები.

მთელი ამ კოშმარული ვერნისაჟიდან ყველაზე მტკივნეულად თვალში ეს ჩამრჩა: გზაზე ტირილით მოდის 5-6 წლის კუბოკრულპალტოიანი ბიჭუნა, თბილი ქუდი თვალებზე ჩამოფხატვია, ხელით სავსე ბადურას მოათრევს, ლოყები წითლად ულუის, უფრო აღშფოთების, ვიდრე ტირილისგან. დროდადრო ასფალტზე ფეხს აბაკუნებს, ჯიუტად, ნერვიულად, როგორც საპროტესტოდ იციან პატარებმა და ხვდები, რომ საშინელი ტრაგედია მოხდა: ის მარტოა, ახლომახლო არავინ ჩანს, არ ჩანს დედიკო, რომელმაც ამ დილას საგანგებოდ შეფუთა ბიჭი, ხელში სათამაშოებით სავსე ბადურა მისცა და გვერდში ამოიყენა ამ უბედურებისგან გასარიდებლად. მერე ახლოს ჭურვი აფეთქდა და დედა მოულოდნელად სადღაც გაქრა ავარდნილ მტვერში, ბიჭუნა მარტო დარჩა, ის ისევ აგრძელებს გზას და კი არ ტირის, ბღავის, რადგან წინ უსასრულო გზაა, დედა კი არა და არ ჩანს!..

ომი მთელი თავისი სისასტიკით წარმოჩნდა. რუსული არმიის მკვლელი საცეცები თანდათან უფრო საბედისწეროდ მიიწევს გმირულად მებრძოლი უკრაინის რუკაზე.

და აქ, როდესაც ჯიუტად ახლოვდება სისხლიანი ფინიში, უფრო და უფრო იკვეთება ერთი მოულოდნელი მოვლენა, რამაც ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, რამდენიმე კვირის წინათ გააოგნა საქართველო. ლაპარაკია იმ საყვედურზე, რაც ყოვლად დაუსაბუთებლად, ყოვლად უმიზეზოდ გამოთქვა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს მთავრობის მიმართ. და არა მარტო საყვედური თქვა, იქვე სადამსჯელო ღონისძიებაც მიაყოლა – თავისი ელჩი გაიწვია „კონსულტაციებისთვის“. ასეთი რამ მას თვით ბელარუსისთვისაც არ უქნია, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის გვერდით დგას ამ ომში. მხოლოდ საქართველო და ყირგიზეთი დასაჯა რუსეთისათვის გამოცხადებულ სანქციებში მონაწილეობაზე „უარის“ გამო. შემდეგ უკრაინის მაღალჩინოსანთაგან რამდენჯერმე კიდევ გაისმა საყვედური საქართველოს „არაღირსეულ“ ქმედებებზე. მაშინ ვერ მივხვდით, თურმე უფრო ღრმად თხრა იყო საჭირო.

და, აი, ამ დღეებში უკრაინის მედიაში გამოქვეყნებულმა უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივნის ალექსეი დანილოვის განცხადებამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. დანილოვმა მოგვიწოდა, გვესაუბრებლა „ხელსაყრელი“ მომენტით და რუსეთთან ბრძოლაში ჩავბმულიყავით აფხაზეთის დასაბრუნებლად. თუ საქართველო და დნესტრისპირეთი დაკავებული იქნებიან თავიანთი ტერიტორიების დაბრუნებით, ეს აუცილებლად დაგვეხმარება, რადგან ჩვენი ქალაქებისა და სოფლების განადგურების, ჩვენი ქალებისა და ბავშვების ხოცვის პარალელურად ახალი სამიზნეები გამოუჩნდება რუსეთსო. თუ მეორე ფრონტი გაიხსნება, ეს ძალიან დაგვეხმარებაო, თორემ საქართველო, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე სწორად იქცევაო, დაასკვნა ბოლოს.

აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე! აი, თურმე, რატომ იქცევა საქართველო „არცთუ ისე სწორად“-ომის პირველი თვე დასრულდა, მეორე ფრონტი კი არა და არ გაიხსნა, არა და არ შეეხიდა საქართველო უკრაინას იმაში, რომ რუსებმა მისი ქალაქები და სოფლებიც ანგრიონ, მისი ქალები და ბავშვებიც ხოცონ.

სიმართლე რომ ვთქვათ, თავხედური, უფრო მეტი, უკეთური განცხადებაა. რას გვამუნათებს, რა გეენისკენ მიგვათრევს! რატომ ჩვენთან ერთად არ ენგრევინ-ეხოცვინებითო, ამის საყვედური, თანაც ასე მჭახედ და უაპელაციოდ, გაგონილა?!

ხატიას სწორი და მცდარი სულ ფეხებზე ჰკიდია. ყველას გვახსოვს, უკრაინის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რა უნამუსოდ დაასმინა საქართველოს ხელისუფლება „უკრაინის ღალატსა და აგრესორი რუსეთის თანამოაზრეობაში“.

არა, არ გაგონილა, მაგრამ იმას კი გვაფიქრებინებს, რომ როდისღაც ვილაცებმა სადღაც რაღაც შეთანხმება დადეს. შეთანხმებულთაგან ერთ მხარედ უთუოდ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სწორედ მისი უმაღლესი პირები გვიგზავნიან დედის გინების ფარდ საყვედურებს. მეორე შეთანხმებულად საქართველოს მთავრობა აშკარად ვერ იგულისხმება, რადგან საყვედურები უმისამართო და უადრესატოა, რაც დაბეჯითებით მიგვითითებს, რომ ისინი იგზავნება არა პრემიერის, პრეზიდენტის ან პარლამენტის სახელზე (საფუძველი რომ იყოს, უთუოდ ასე დამიზნებულად გამოიგზავნებოდა ახლა მაინც, როცა დანა ყელთან არის მიტანილი), არამედ – ზოგადად. ეს „ზოგადი“ კი, უთუოდ ჩვენი ოპოზიციაა, რომელიც მატრაკვეცულად ჩაანაცვლებს ხოლმე ხელისუფლებასაც და მთავრობასაც. ჩვენს არამკითხე ოპოზიციას ხომ კუდი აქვს გადაბმული კიევში განთესილ თანამოაზრეებთან, რომლებიც უკრაინის ხელისუფლების ასებს წარმოადგენენ. სხვათა შორის, დანილოვის განცხადებას წინ ოპოზიციის დელეგაციის ვიზიტი უძღოდა, რა ვიფიქროთ?

დღეს ახლებურად შეიძლება გავიაზროთ ჩვენი მესამე პრეზიდენტის ფათერაკიანი შემოპარება-შემოარაჟანება შარშან ოქტომბერში, უთუოდ საგანგებო, საიდუმლო დავალებით, რომლის არსიც უეჭველად ის იყო, რომ საქართველოში ვითომც მომწიფებული რევოლუცია მოეხდინა, ხელისუფლება და რეჟიმი მომავალი მეორე ფრონტისთვის განეწყო და მოემზადებინა, როგორც კი უკრაინაში მომავალი ომი იფეთქებდა და აფხაზეთ-ოსეთის დაბრუნების „შანსი“ გაჩნდებოდა. დაახლოებით ასეთი პერსპექტივა არც მიშას დაუმალავს თავის სასამართლო პროცესზე ორშაბათს. ამიტომაც აწვებოდა რადიკალური ოპოზიცია „უნივერსალურ“ ლოზუნგს „თავისუფლება მიშას!“ მან ეს ლოზუნგი ომის დასაწყისში აგორებულ უკრაინის მხარდამჭერ მიტინგებსაც კი შეაპარა, ოღონდ არაფერი გამოუვიდა.

ნაცმოძრაობა და „ლელო“ პირდაპირ ბომბავენ პარლამენტს უკრაინის თემით. ფრაქცია „ერთიანი ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარემ, ცნობილმა ქორმა ხატია დეკანოიძემ დაუფარავად განაცხადა, პრეზიდენტი ზელენსკი მზად არის პირდაპირ ეთერში მიმართოს საქართველოს პარლამენტსო. ამის თაობაზე მას ზელენსკის ადმინისტრაციასთან ჰქონია კომუნიკაცია (მოდი და ნუ გაიკვირვებ, რა კომუნიკაცია შეიძლება ჰქონდეს საქართველოს პარლამენტის წევრს უცხო ქვეყნის ადმინისტრაციასთან?!). თუ ოპოზიციას სურდა, რომ უკრაინის პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტში გამოსულიყო, ეს თემა ჯერ ხელისუფლებასთან უნდა განეხილა, და არა საჯაროდ განეცხადებინა. ყველაზე რბილი შეფასებით ეს პოლიტიკურად არსწორი ნაბიჯი იყო.

მაგრამ ხატიას სწორი და მცდარი სულ ფეხებზე ჰკიდია. ყველას გვახსოვს, უკრაინის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რა უნამუსოდ დაასმინა საქართველოს ხელისუფლება „უკრაინის ღალატსა და აგრესორი რუსეთის თანამოაზრეობაში“.

ბოლოს, როცა მეორე ცნობილმა ქორმა სალომე სამადაშვილმა აიტაცა თანაქორ ხატიას იდეა და წამოაყენა წინადადება, პირადად ვთხოვოთ პრეზიდენტ ზელენსკის, მიმართოს საქართველოს პარლამენტსო, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი იძულებული გახდა მკაცრად განეცხადებინა, ნაცმოძრაობისა და „ლელოს“ უკრაინასთან დაკავშირებულ არცერთ თაოსნობას არ განვიხილავთო.

თითქოს ამ მოწამლული ოპოზიციის თაოსნობები გვაკლდა და ახლა არასამთავრობო სექტორმა თქვა თავისი სიტყვა (მათ შორის თუქსუსურად ყელყელაობდა ცნობილი ენჯეო ეკა გიგაური), ფაქტობრივად გამეორება და ალი-კვალი უფროსი დის ნაცმოძრაობისა, ახლა დროა იარაღი ავისხათ და დავიბრუნოთ დაკარგული მიწა-წყალიო.

რაღაც-რაღაც სიახლეები მეორე მხრიდანაც მოდის: 24 მარტს მოსკოვში ჩატარდა ქართულ-რუსული საექსპერტო შეხვედრა. მასში მონაწილეობდა 40-მდე ექსპერტი, პოლიტიკოსი და მეცნიერი ორივე მხრიდან, აგრეთვე ქართული დიასპორის წარმომადგენლები. შეხვდრის მოთავენი ყოფილან „გორჩაკოვის ფონდი“ და პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადობრივი ცენტრი. მონაწილეებს შეხვდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი გრიგორი კარასინი, რომელმაც განაცხადა, დასავლეთის მიერ მიღებული სანქციების მიმართ საქართველოს რეაქცია რუსეთს „შეუმჩნეველი არ დარჩება, ჩვენს ურთიერთობებს ნათელი მომავალი აქვსო“.

კარასინის ამ განცხადებას უმალ გამოეხმაურა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ოლეგ ნიკოლენკო „ტვიტერის“ გვერდზე: თბილისო, ამის შემდეგ არ გრცხვენიაო?

თბილისს სამარცხვინო არაფერი სჭირს. ის სწორედ რომ მთელი ძალისხმევით, ყველა შესაძლებლობით უჭერს მხარს უკრაინას პირველი დღიდანვე, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვადასხვა ჰუმანიტარულ გზავნილებსა და ლტოლვილთა შეფარებაზე.

მაგრამ, რაც მთავარია, ქართულ-რუსული საექსპერტო ჯგუფების შეხვედრა კერძო თაოსნობა იყო და მაინცდამაინც დიდ ყურადღებად არ ღირს. ისე კი, რა თქმა უნდა, კარასინის, ნიკოლენკოს თუ სხვა „გულშემატკივართა“ განცხადებები საქართველოს შიდა პოლიტიკურ სისტემაში არსებული დესტრუქციული ძალებისთვის, უპირატესად პარლამენტის ცაზე მობოინე ქორებისთვის კეთდება.

არ უნდა დაგვავიწყდეს ეს!

ალეკო ასლანიშვილი

დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ 5 060 000 ევროს ანაზღაურება დაეკისრათ!

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი და თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილსა და შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ალექსანდრე ნინუას სოლიდარულად დაეკისრათ 5 060 000 ევროს ეკვივალენტი ლარში სამინისტროს სასარგებლოდ, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დავით კეზერაშვილსა და ალექსანდრე ნინუას საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს დიდი ოდენობით ფულადი თანხების მითვისება/გაფლანგვის ფაქტზე წარედგინათ ბრალი.

მიხაილ შიშკინი:

რუსეთის დეპუტინიზაცია, რუსებმა უნდა გავაკეთოთ!

„არც ნატოს და არც უკრაინელებს არ შეუძლიათ რუსეთის დეპუტინიზაცია, ეს რუსებმა უნდა გავაკეთოთ“, — წერს რუსი მწერალი მიხაილ შიშკინი „The Guardian“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

როგორც შიშკინი აღნიშნავს, ახალი, დემოკრატიული რუსეთის შექმნა შეუძლებელია ეროვნული აზროვნების შეცვლისა და ეროვნული დანაშაულის აღიარების გარეშე.

„რუსული ტელევიზიები დაბომბილ უკრაინულ ქალაქებსა და ბავშვების ცხედრებს არ აჩვენებენ. რუსეთში გაბედულ ახალგაზრდებს, რომლებიც ომს აპროტესტებენ, სცემენ და აპატიმრებენ, ხოლო ხალხის უმეტესობა დუმს — არ არის მასობრივი პროტესტი, გაფიცვები. მტკივნეულია იმის დანახვა, რომ ჩემი ბევრი თანამოქალაქე მხარს უჭერს უკრაინის წინააღმდეგ ომს.

რუსული ტელევიზია ახლა ხშირად აშუქებს ინტერვიუს ცნობილ მსახიობ სერგეი ბოდროვთან. „ომის დროს საკუთარ თავზე ცუდად ლაპარაკი არ შეიძლება. ეს არ შეიძლება, გააკეთო მაშინაც კი, თუ შენი ქვეყანა ცდება“, აცხადებს ბოდროვი. ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებსაც სურთ, მხარი დაუჭირონ „თავიანთს“, თუნდაც ისინი უკრაინელებს ხოცავდნენ. ჩემი თანამემამულეების მცირე ნაწილია მზად დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ქედს იხრის ძალაუფლების წინაშე და ეთანხმება ამგვარი ცხოვრების წესს.

რუსეთში დემოკრატიული სოციალური წყობის დანერგვის ორი მცდელობა უკვე ჩაიშალა. 1917 წელს პირველმა რუსულმა დემოკრატიამ მხოლოდ რამდენიმე თვე შეძლო არსებობა, ხოლო 1990-იან წლებში „რამდენიმე წელი ისიც დიდი გაჭირვებით. ყოველთვის, როცა ჩემი ქვეყანა ცდილობს, დემოკრატიული საზოგადოების შექმნას არჩევნების, პარლამენტისა და რესპუბლიკის დაარსებით, ის ტოტალიტარულ იმპერიაში აღმოჩნდება ხოლმე. დიქტატურა და დიქტატორი შობს მონა მოსახლეობას თუ მონა მოსახლეობა შობს დიქტატურას და დიქტატორს? დაახლოებით, ქათამის და კვერცხის წარმოშობის საკითხია. როგორ შეიძლება, გაირღვეს ეს მანკიერი წრე? როგორ შეიძლება, დაიწყოს ახალი რუსეთის მშენებლობა? ჰიტლერის გერმანიამ იპოვა დიქტატურის მანკიერი წრიდან გამოსასვლელი გზა. გერმანელებმა შეძლეს დემოკრატიულად ორიენტირებული საზოგადოების აგება. თუმცა, მათი ერის აღორძინება განპირობებული იყო სრული, გამანადგურებელი სამხედრო მარცხით. ეს ნულოვანი საათი რუსეთსაც სჭირდება. რუსეთში ახალი დემოკრატიული ცხოვრების დაწყება შეუძლებელია ეროვნული დანაშაულის აღიარების გარეშე.

რუსეთში არ ყოფილა დესტალინიზაცია და არც კომუნისტური პარტიის ნიურნბერგის სასამართლო პროცესი. ახლა რუსეთის ბედი დეპუტინიზაციაზეა დამოკიდებული. როგორც 1945 წელს გერმანიის „უმეცარ“ მოსახლეობას აჩვენეს საკონცენტრაციო ბანაკები, ასევე „უმეცარ“ რუსებს უნდა აჩვენონ დანგრეული უკრაინის ქალაქები და ბავშვების ცხედრები. ჩვენ რუსებმა ღიად და გაბედულად უნდა ვაღიაროთ ჩვენი დანაშაული და ვითხოვოთ პატიება.

არც ნატოს და არც უკრაინელებს შეუძლიათ რუსეთის დეპუტინიზაცია, ეს რუსებმა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ თავად უნდა გავწმინდოთ ჩვენი ქვეყანა. მზად არის ჩემი ხალხი ამ ამოცანისთვის? ომის შემდეგ, მსოფლიო დაეხმარება უკრაინას აღდგენაში. მაგრამ რუსეთი ეკონომიკურად დაინგრევა. იმპერიის დაშლა მთელი ძალით გაგრძელდება. ჩეჩნებს დამოუკიდებლობისკენ მიჰყვებიან სხვა ხალხები და რეგიონები. რუსეთის ფედერაცია დაიშლება. მაგრამ ბოლო მსოფლიო იმპერიის ხალხებისა და რეგიონების ცენტრიდანული ძალა შეიძლება, იყოს როგორც გამწმენდი, ასევე დამანგრეველი. რუსულმა ცნობიერებამ უნდა ისწავლოს იმის მიღება, რომ შეიძლება, არსებობდეს რამდენიმე სახელმწიფო, სადაც რუსული სახელმწიფო ენა იქნება. იმპერია ავთვისებიანი სიმსივნესავით უნდა მოიკვეთოს გონებიდან და სულიდან. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ახალმა სახელმწიფოებმა გაატარონ რეფორმები.

მაგრამ შეუძლია თუ არა დემოკრატიას თავის დამკვიდრება მოქალაქეთა კრიტიკული მასაში მომწიფებული სამოქალაქო საზოგადოების გარეშე? „მომავლის მშვენიერი რუსეთი“ (ეს არის ალექსეი ნავალნის დევიზი) თავისუფალი არჩევნებით უნდა დაიწყოს. მაგრამ ვინ განახორციელებს მათ და რა წესების მიხედვით? იგივე ათიათასობით შეშინებული მასწავლებელი, რომლებმაც პუტინის გაყალბებულ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა? და შეიძლება, ვინმე დარწმუნებული იყოს, რომ რუსეთის ჭეშმარიტად თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვებს დემოკრატიული ოპოზიციის „ეროვნული მოღალატე“ და არა „პატრიოტი“, რომელიც იბრძოდა „უკრაინელი ფაშისტების“ წინააღმდეგ?

კეთილგანწყობილ მეფეზე დაყრდნობილი მოსახლეობა ერთ საათში პასუხისმგებლიან ამომრჩევლად ვერ გადაიქცევა. და ვინ განახორციელებს დემოკრატიულ რეფორმებს? ჩინოვნიკებს, რომლებიც პუტინის რეჟიმის პირობებში კორუფციასა და კრიმინალში იყვნენ გარეულნი, არ უნდა მიეცეთ საშუალება, ააშენონ ახალი სახელმწიფო. ისინი ყველა კორუმპირებულია.

მსოფლიოში ისმის მოწოდება „რუსული ნიურნბერგის“ შექმნის თაობაზე. მაგრამ ვინ მოაწყობს და განახორციელებს ამ სასამართლო პროცესებს რუსეთში? ვინ გააკეთებს წარსულის ამ დიდ გადაფასებას? ვინ გამოავლენს დანაშაულს და დასჯის დამნაშავეებს? თავად დამნაშავეები? შეიძლება პუტინის გადაყენება და შეცვლა, მაგრამ როგორ შეიძლება, მოულოდნელად შეცვალოს მილიონობით კორუმპირებული ჩინოვნიკი, დაქირავებული პოლიციელი და მორჩილი მოსამართლე?

ხანგრძლივი, მტკივნეული აღორძინება რუსეთისთვის წინსვლის ერთადერთი გზაა და ყველა ეს სანქციები, სიღარიბე და საერთაშორისო იზოლაცია არ იქნება ყველაზე უარესი, რაც ჩვენ ამ გზაზე გველის. უფრო საშინელი იქნება, როცა რუსი ხალხისთვის შინაგანი აღორძინება არ იქნება. პუტინი სიმპტომია და არა დაავადება“, — წერს მიხაილ შიშკინი.

პოლიტიკური „გასროლა“ უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობის დასაძაბად!

რას ნიშნავს გრიგორი კარასინის განცხადება, რომ „ჩვენს ურთიერთობებს ნათელი მომავალი აქვს“. რატომ დასჭირდა ახლა, ომის დროს, კარასინს ამის თქმა და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 24 მარტს მოსკოვში ქართულ-რუსული საექსპერტო შეხვედრა გაიხსნა. მასში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 40-მა ექსპერტმა, პოლიტოლოგმა და მეცნიერმა ორივე მხრიდან, გარდა ამისა, მონაწილეობდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ „გორჩაკოვის ფონდი“ და პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი. მონაწილეებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი გრიგორი კარასინი შეხვდა. როგორც კარასინმა განაცხადა, რუსეთს დასავლეთის მიერ მიღებული სანქციების მიმართ საქართველოს რეაქცია „შეუმჩნეველი არ დარჩენია“. მან რუსეთ-საქართველოს შესახებ აღნიშნა, რომ „ჩვენს ურთიერთობებს აქვს ნათელი მომავალი“.

„პოსტსაბჭოთა სივრცეს ჩვენ ვუყურებთ, როგორც ტრადიციულ მეგობრებს, არსებული ურთიერთობა ხასიათდება ურთიერთდახმარებით. რუსეთი მხარს უჭერს ყველა საკითხისადმი მშვიდ მიდგომას. ვინც ჩვენ გვეპყრობა სამართლიანად და ღიად გველაპარაკება, ის მეგობრად დარჩება“, — განაცხადა კარასინმა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, **ზურაბ აბაშიძის** განცხადებით, ქართულ-რუსულ საექსპერტო წრეებს შორის შეხვედრა, რომელიც რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, 24 მარტს მოსკოვში გაიხსნა, კერძო ინიციატივა იყო და მასში საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები არანაირი ფორმით არ მონაწილეობდნენ.

როგორც აბაშიძე ამბობს, არსებულ ვითარებაში, მსგავსი ვიზიტი არ იყო მიზანშეწონილი და მართებული.

„ეს გახლავთ კერძო ინიციატივა, რომელიც განხორციელდა ერთ-ერთი

კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა უფრო საშიშია!

25 მარტის საღამოს – დასავლური ტელეკომპანიებისთვის, 26 მარტს კი უკვე ბეჭდური მედიისთვისაც ცენტრალურ თემად იქცა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის, არმიის გენერალ სერგეი რუდსკოის მოულოდნელი განცხადება, რომლისთვისაც ქართულ მედიას სათანადო ყურადღება, არ მიუქცევია.

„მთლიანობაში, უკრაინაში მიმდინარე სპეციალური ოპერაციის პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანები შესრულებულია. უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი საგრძნობლად შემცირდა, რაც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ ძალისხმევის ფოკუსირება მთავარ მიზანზე – დონბასის გათავისუფლებაზე“, – განაცხადა რუდსკოიმ.

თითქოს უკრაინაში შეჭრის მიზნების განმარტებისას რუსეთის პრეზიდენტს არასოდეს არაფერი ეთქვას „დემილიტარიზაციაზე“, „დენაციფიკაციაზე“, „ნეონაცისტებისა და ნეოფაშისტებისგან გათავისუფლებაზე“. თითქოს მისი ბრძანების შემდეგ რუსული ჯარი ქვეყანას ერთდროულად რამდენიმე მიმართულებიდან არ შესეოდეს, ხარკოვის, კიევისა და სხვა მთავარი ქალაქებისკენ არ დაეწყოს სვლა, ხოლო სამკვირიანი წარუმატებელი კონვექციური ბრძოლის შემდეგ – ალყაშემორტყმული ქალაქების მიწასთან გასწორება ყველაფრით, რაც კი ხელთ გააჩნია, აკრძალული სახეობების (კასეტური, ვაკუუმური, ფოსფორული ჭურვები, ჰიპერბგერითი რაკეტები) ჩათვლით.

რა ხდება პუტინის თავს: მთავარსარდლის ბრძანების ფაქტობრივი დეზავუირების მიზეზები

რუდსკოის განცხადების შემდეგ მესამე დღეა, დასავლელი ანალიტიკოსები ცდილობენ, გამოიცნონ, რა იყო ეს და როგორ უნდა აღვიქვათ უკრაინაში რუსეთის შეჭრის მთავარ მიზნად „დონბასის გათავისუფლების“ გამოცხადება იმ ფონზე, რის დემონსტრირებასაც რუსული ჯარი მთელი მსოფლიოს თვალწინ უკრაინაში 24 თებერვლიდან გასული ერთი თვის განმავლობაში ახდენდა.

მათთვის რუსი გენერლის განცხადება არა მარტო გაუგებარი, გაუგონარიც კია: მან – ქვეშევრდომმა ხომ მსოფლიოს გასაგონად მთავარსარდლის – ვლადიმირ პუტინის ბრძანების ფაქტობრივი დეზავუირება მოახდინა, ანუ უხეშად დაარღვია სუბორდინაცია.

დასავლელი ანალიტიკოსების ვარაუდით, მსგავსი რამ მხოლოდ სამ შემთხვევაში შეიძლებოდა, მომხდარიყო:

- **თუ რუსეთში განხორციელებულია სამხედრო გადატრიალება, მთავარსარდალი ვითარებას ვეღარ აკონტროლებს და ძალაუფლება სამხედროების ხელშია;**
- **თუ პუტინი საბოლოოდ გადადგა ჭკუიდან და ამდენად, გარემოცვა მის აზრს ანგარიშს აღარ უწევს;**
- **თუ პუტინი ცოცხალი აღარაა, ტელეეკრანებზე კი ვხედავთ ძველი კადრების მონტაჟს, თოჯინას ან რაიმე სხვა ხრიკს...**

სამი ვარიანტიდან რომელს აქვს დღევანდელ რუსულ რეალობაში უფრო მაღალი ალბათობა – დასავლურ საექსპერტო წრეებში ვერ ყალიბდებიან.

აი, რუდსკოისა და პუტინის თანამემამულე ანალიტიკოსებს კი (სავარაუდოდ, იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან „ცხრა პარასკევისა“ და„შავზე თეთრის ძახილის“ პრინციპებით მოქმედების მაგალითები ადრეც მრავალგზის უნახავთ) სუბორდინაციის უხეში დარღვევის ასპექტისთვის ყურადღება დიდად არ მიუქცევიათ. მათთვის რუსი გენერლის ხსენებულმა განცხადებამ სულ სხვა – ერთგვარად დამამშვიდებელი ეფექტიც კი იქონია.

ანალიტიკოსი **ანდრეი პიონტკოვსკი,** მაგალითად, მთავარ მიზნად ამჯერად „დონბასის გათავისუფლების“ დასახელებას კარგ ნიშნად მიიჩნევს იმისა, რომ პუტინი „ჭკუიდან საბოლოოდ ჯერ არ გადასულა და თურმე, ძალუძს იმ რეალობის გაცნობიერება, რომლის შედეგებსაც ახლა ჭკუიდან გადაჰყავს“:

„მან აღმოაჩინა, რომ არავითარი „უძლეველი არმია“ არ ჰყავს, რომ მისი ტანკები შუა გზაში ჩერდება, თვითმფრინავებს ხშირად ჩამოგდებაც კი არ სჭირდება – თავისით ვარდებიან, ჯარი სრულიად მოუმზადებელია შემტევი ოპერაციებისთვის (და ბევრი სხვა კუთხით), მარაგები გაძარცულ-გაცამტვერებულია და ა.შ. – ანუ, ძალოვანები უახლოესი გარემოცვიდან მას მთელი ეს წლები მწარედ ატყუებდნენ, ის კი სიამოვნებით ტყუვდებოდა და ახლა ამ ადამიანს, რომელიც წლობით აშინებდა და ატერორებდა მსოფლიოს, ფაქტობრივად, აღარ რჩება არავითარი ბერკეტი, რაღაც დონემდე მაინც შეინარჩუნოს სახე“.

ერთადერთი, რაზეც ამ მხრივ დასავლელი და რუსი დამოუკიდებელი ანალიტიკოსები თანხმდებიან, ისაა, რომ ეს უდავოდ გარდამტეხ მომენტად უნდა ჩაითვალოს უკრაინის მიმართ რუსულ აგრესიაში და მაღალი ალბათობით, მართლაც შეგვიძლია, ვისაუბროთ ომის პირველი ფაზის დასრულებაზე.

რაც შეეხება რუდსკოის განცხადების იმ ნაწილს, რომელშიც „უკრაინაში მიმდინარე სპეციალური ოპერაციის პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანების შეუსრულებულობაზე“ და „უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის საგრძნობლად შემცირებაზეა“ საუბარი, აქ როგორც დასავლელი, ისე რუსი ანალიტიკოსების აზრი ფაქტობრივად იდენტურია: მათთვის ეს მტკიცება „ღიმილისმომგვრელია“ იმ ფონზე, რომ ომის დაწყებიდან გასული ერთი თვის განმავლობაში რუსეთმა უკვე ორი საერთო-საჯარისო და ერთი საჰაერო არმია დაკარგა; რომ ცოცხალი ძალის კუთხით მისი დანაკარგები მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ის არმიის ჯამურ დანაკარგებს ბოლო ოცი წლის განმავლობაში წარმოებულ ყველა ომში (ერაყი, ავღანეთი); რომ პუტინის მითი „მსოფლიოს №2 არმიის“ შესახებ სრულადაა გაცამტვერებული და „თუ რუსეთის ჯარმა ვინმე რამით მართლაც გააოცა, ეს უვარგისი ტექნიკა და ბრძოლის უაღრესად მოძველებული ტაქტიკაა – ზუსტად ისეთი, როგორსაც თავის დროზე ივანე მრისხანე იყენებდა ყაზანისა და ნოვგოროდის ასაღებად“.

ამასთან, როგორც ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, ვითარება კრიტიკულ წერტილამდე მივიდა: ერთის მხრივ, აგრესორი ფაქტობრივად, მარცხდება, მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ ამის გამო პუტინი, კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის მსგავსად, ახლა შესაძლოა, კიდევ უფრო საშიში გახდეს. ამასთან დაკავშირებით, მათი აზრით, აშშ-სა და მის ნატოელ პარტნიორებს მართებთ, მოვლენათა უარესი სცენარით განვითარებისთვის მოემზადონ, კერძოდ, მზად იყვნენ, უპასუხონ რუსეთის მხრიდან ქიმიური და შესაძლოა, ბირთვული იარაღის გამოყენებასაც.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით. სახელმწიფო სტრუქტურები არანაირი ფორმით ამ ინიციატივაში არ მონაწილეობენ. ასე რომ, ყველა კითხვით ამ ვიზიტის თაობაზე, მათ შორის, დეტალებზე უმჯობესია მიმართოთ აღნიშნული ჯგუფის წევრებს. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას, ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ არსებულ ვითარებაში ასეთი ვიზიტი იყო მართებული ან მიზანშეწონილი. ამასთან, ამ ვიზიტის საკითხი ე.წ. პრაღის ფორმატში ან რაიმე ორმხრივ ფორმატში არ განხილულა. ბოლო შეხვედრა ე.წ. პრაღის ფორმატში გასული წლის ნოემბერში ჩატარდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით მოსკოვში გამართულ დისკუსიას დაესწრო გრიგორი კარასინი, მან ისაუბრა, მათ შორის პრაღის ფორმატის თაობაზე“, – განაცხადა აბაშიძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძე** გრიგორი კარასინის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა და არც ერთი შექება, არც ერთი რევერანსი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისთვის არ ნიშნავს არაფერს.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი** მიიჩნევს, რომ კარასინის განცხადება გარკვეულ პროვოკაციას ემსახურება, რომლის საშუალებითაც მას უნდა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიმართ ეჭვები გააჩინოს. მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ ომის პერიოდში მსგავსი შეხვედრები დაუშვებელია და ხელისუფლებამ ხაზგასმა ამაზე უნდა გააკეთოს. მისივე აზრით, კარასინი ორი მიმართულებით ცდილობს, რომ ჩვენი ხელისუფლება დააზიანოს.

„მას, როგორც ჩანს, განზრახვა აქვს, რომ ომის პერიოდში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გარკვეული კამპანია ააგოროს. ერთის მხრივ ის ცდილობს, რომ დასავლეთს გაუგზავნოს სიგნალი, თითქოს ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან რაღაცა დახურულ კარს მიღმა კომუნიკაციას და თანამშრომლობას ცდილობს. აჩენს გარკვეულ ილუზიას, თითქოს საქართველოსა და რუსეთს შორის რაღაცა დონის თანამშრომლობა შედგება. ეს ყველაფერი რუსული ხელწერაა, რომელიც მხოლოდ პროვოკაციის მატარებელია. კარასინს მეორე მხრივ კი ქართველი ხალხის გაღიზიანება სურს. ოპოზიციას მისცეს საბაბი, რომ ამ თემით მანიპულირება შეძლოს. მათ კი მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევით პირადი ინტერესები ნახონ. ჩვენს ქვეყანაში დაძაბულობის და დაპირისპირების მუხტი რუსეთს აწყობს.

კონფლიქტოლოგი **ზურაბ ბენდიანიშვილი** კი ფიქრობს, რომ რუსეთის და კერძოდ კარასინის ამ განცხადებაში ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ჩანს – ისინი ცდილობენ, რომ საქართველოს და უკრაინის ხელისუფლებებს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაღრმავდეს. კონფლიქტოლოგი ვარაუდობს, რომ კარასინი ამით უკრაინის და საქართველოს დაპირისპირებას ცდილობს. ეჭვს მიზანმიმართულად აჩენს და უნდა უკრაინის ხელისუფლებას აფიქრებინოს, რომ ომის დროს საქართველოს ხელისუფლება მათთან თითქოს ურთიერთობის დალაგებას ცდილობს...

ლიკა ბერიკაშვილი

შოიგუ უფის ბუნკერში, პუტინი კი – ურალში

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ბაშკირეთის რესპუბლიკის ძალაძ უფის სიახლოვეს აფარებს თავს, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კი ურალზეა, სურგუტის მიდამოებში, – იუწყება ახალ მონაცემებზე დაყრდნობით საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფ „Bellingcat“-ის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ხრისტო გროზევი.

იგი აზუსტებს, რომ ერთიცა და მეორეც სავარაუდოდ, დაცულ ბუნკერებში იმყოფებიან, რაც ბირთვული იარაღის გამოყენების პოტენციურ საფრთხეს უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც გროზევი განმარტავს, პუტინს უკრაინაში შესაძლო მარცხის შემთხვევაში ბირთვული იარაღის გამოყენების იდეაზე უარი კვლავინდებურად არ უთქვამს, თუმცა წლის დასაწყისთან შედარებით, ამის ალბათობა საგრძნობლადაა შემცირებული.

ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილებას პუტინის გარდა, კიდევ 4 პირი უნდა დასთანხმდეს, რომელთაგან სულ მცირე, ორი, „Bellingcat“-ის მონაცემებით, ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

„უნდა გვესმოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება წამში არ მიიღება და რომც იქნას მიღებული, მის განხორციელებას მომზადება სჭირდება, რომელმაც არათუ საათები, ერთი და მეტი დღეც შეიძლება, წაიღოს. თუმცა ზოგადად, ეს იდეა კრემლის ხელმძღვანელობის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. შესაბამისად, მოსკოვი დასავლეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯზეც ფიქრობს და უმაღლესი ხელმძღვანელობა წინასწარ გახიზნა დაცულ ბუნკერებში“, – ამბობს გროზდევი. რაც შეეხება შოიგუსა და პუტინის ამჟამინდელ ადგილსამყოფელს, როგორც „Bellingcat“-ის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი აღნიშნავს, ორგანიზაციის თანამშრომლები თითქმის ყოველდღიურად აფიქსირებენ შოიგუს თვითმფრინავის ფრენას უფის მიმართულებით, სადაც, მათი მონაცემებით, რამდენიმე დაცული ბუნკერია განთავსებული, პუტინის ბორტს კი კიდევ 4 თვითმფრინავი აცილებს და ურალის მიდამოებში ხუთივე ბორტი ტრანსპონდერებს თიშავს, რათა მათი დაშვების წერტილის დაფიქსირება ვერ ხერხდებოდეს, თუმცა მაღალი ალბათობით, რუსეთის პრეზიდენტი სურგუტის მიდამოებში განთავსებულ ერთ-ერთ ზედაცულ ბუნკერს აფარებს თავს.

ჯერ ფული, მერე გაზი!!!

რუსეთი არ აპირებს ქველმოქმედებას და დასავლეთ ევროპისთვის გაზის უფასოდ მიწოდებას, არ იქნება გადახდა, არ იქნება გაზი, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა ამერიკულ ტელეკომპანია PBS-თან ინტერვიუში განაცხადა. ჟურნალისტმა კრემლის წარმომადგენელს ჰკითხა, შეუწყვეტს თუ არა რუსეთი გაზის მიწოდებას ევროპას, თუკი ეს ქვეყნები გაზის საფასურის რუბლებში გადახდაზე უარს იტყვიან.

„მე არ ვიცი, რა მოხდება, როდესაც ისინი ამ შესაძლებლობაზე უარს იტყვიან. როგორც კი საბოლოო გადაწყვეტილება გვეცოდინება, ჩვენ შევისწავლით, რისი გაკეთება შეიძლება. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ კუთხით არ ვაპირებთ ქველმოქმედებას და დასავლეთ ევროპისთვის გაზის უფასოდ გაგზავნას“, – განაცხადა პესკოვმა. მანამდე, „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებმა უარი განაცხადეს ვლადიმერ პუტინის მოთხოვნაზე, ბუნებრივი აირის საფასური რუსული რუბლით გადაიხადონ.

ომარ მარგველაშვილი

გალაკტიონი და ნესტორას ჯიხური

ქალიან ხშირად, სკოლიდან შინ მომავალი, ძუჩაში გალაკტიონს ვხვდებოდი.

სტუდქალაქსა და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტს შორის, წრეს უვლიდა მეხუთე ნომერი ტრამვაი, მერე თავის მარშრუტს უკან, ვერისა და „ზემელის“ გავლით, ყოფილი კაფე „მეტროს“ გვერდის ავლით, კოლმეურნეობის მოედნისკენ ხრიალით ჩაიქროლებდა.

ვაკეში, ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან იდგა ცნობილი „ნესტორას ბუტკა“. ცოტა მოშორებით, ფალიაშვილის ქუჩაზე, უცხო ენათა ინსტიტუტის გვერდით კი ასევე „პოპულარული“ ხის „ბუტკა“ ედგა იპოლიტეს. ორივენი ჩამოსასხმელი ლუდითა და არყით ვაჭრობდნენ. ჯიხურებში იატაკზე, ხის მომცრო კასრებით მსხვილმარცვლოვანი შავი ხიზილალა ჩაედგათ. მუშტარს, უმთავრესად, სამსახურიდან მომავალ კაცებს, შავი პურითა და ხიზილალით უმასპინძლდებოდნენ. ხიზილალას კასრებიდან ხის თეთრი ქათქათა კოვზებით იღებდნენ, ბარაქიანად უსვამდნენ პურზე, ხორბლის თავთავებით დამშვენებული ქართულ ეტიკეტებიანი ბოთლებიდან კი არაყს ჩამოუსხამდნენ და, ღმერთმა შეგარგოთო, ალალად მიაყოლებდნენ. კლიენტებიც ერთ-ორ სირჩას გადაჰკრავდნენ, ჩამოსასხმელ კათხა ლუდსაც დააყოლებდნენ და სახლისკენ სასიამოვნო განწყობით გასწევდნენ.

კიდევ რითი მახსოვს ეს პატარა ლუდის ჯიხურები, იცით?

რაც ახლა უნდა გიამბოთ, შეიძლება ზოგს გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, და მას ვერსად გაექცევი! ორივეს, ნესტორასაც და იპოლიტესაც ხშირად სტუმრობდნენ „ზორბა“ კატები. ყველას აკვირვებდა მათი სიდიდე და ფუმფულა, ლამაზი ბეწვი. „საიდუმლო“ იმაში მდგომარეობდა, რომ მეჯიხურეები, მუშტრებს დოშითაც უმასპინძლდებოდნენ, დოში კი „ბუტკის“ კუთხეში, მავთულის კავზე ჰქონდათ ჩამოკიდებული. ისეთი თევზი იყო, სულ ქონი გასდიოდა. ხელმომჭირნე და ყაირათიან დახლიდარებს, ქონი უქმად რომ არ დაეღვარათ, ქვეშ თუნუქის კონსერვის ქილები ჰქონდათ შედგმული. კატები კონსერვის ქილებიდან არხეინად სვლეპდნენ დოშის ქონს. ასე რომ მანებივრებდნენ, კნავილსაც დავიწყებდი და თაგვებსაც მუსრს გავავლებდიო, იხუმრებდა ხოლმე რომელიმე ენაკვიმატი მეინახე...

ბავშვები ვიყავით და ბავშვური საინახაობები გვიტაცებდა. გარშემო ბევრი ისეთი რამეც ხდებოდა, რასაც ჩვენს თვალში მერე და მერე უფრო დიდი ფასი დაედო. პოეტთა მეფე გალაკტიონი ხან ნესტორას, ხან კი იპოლიტეს „ბუტკას“ სტუმრობდა. ხშირად მოდიოდა თავისი ძველი, გვარიანად გაცვეთილი ყავისფერი პორტფელით. იმ პორტფელს ჯიხურის თაროზე დადებდა, გახსნიდა და დიდი გულმოდგინებით ამოიღებდა ვერის ბაზარში ნაყიდ ქორფა ბოლოკის კონას, ჯერ ხელზე დაიფერთხავდა, მერე მიმართავდა: — აბა, ჩემო ნესტორ (ან იპოლიტე), ერთი, შენებურად გამირეცხეო!

ისიც მოწიწებით ჩამოართმევდა და მაშინვე მიუშვერდა ონკანს, რომელიც იქვე, „ბუტკის“ გვერდით ჰქონდა. წყლის ჭავლში იმ ბოლოკს კარგად „გაახანხალებდა“ და ისე მიართმევდა გალაკტიონს, როგორც გამორჩეულ ნუგბარს. გალაკტიონიც შეუდგებოდა ტრაპეზს: გადაჰკრავდა არაყს და კონას თავისი ხელით მოწყვეტილ წითელ ბოლოკს მიატანდა. ზოგჯერ მწვანე, ქორფა ფოთოლსაც დააყოლებდა ხოლმე.

როგორი სანახავი იყო, ჰა? დიდებული პოეტი, ძველებური ლუდის ჯიხური და... „ხარაზების სუფრა!“ ახლაც სიზმარივით ხშირად მახსენდება ჩემს ცნობიერებაში აღბეჭდილი ეს რეალური სცენები...

იდგა თაროს დაყრდნობილი გალაკტიონი, თავის არაამქვეყნიურ ფიქრებში წასული (დასაჯდომი სკამი არსად იყო!), და ვინ იცის, იქნებ „ლურჯა ცხენების“ რომანტიკასაც ელაციცებოდა! მის ირგვლივ კი დუღდა, ბრუნავდა, ტრიალებდა ტრამვაის ვაგონების შემზარავი ღრჭიალის ფონზე თითქოს ერთფეროვანი, ჩვეულებრივი და მაინც მღელვარე ცხოვრება, რომლის სივრცეშიც ჩვენი, 11-12 წლის პატარა ბიჭების გაოცებული თვალებიც ირეკლებოდა! ვიცოდით, რომ ეს წვერმოშვებული კაცი, „პიჯაკზე“ ლენინის ორდენით, ლექსებს წერდა და გენიალური პოეტი იყო, თუმცა მის პოეზიას ჯერ კიდევ არ ვიყავით ნაზიარები.

(პარადოქსია, რომ სათაყვანებელი მეუღლის, ოლია ოკუჯავას დაპატიმრების მესამე დღეს გალაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს!!!).

ვიდექით და ვუყურებდით, როგორც რაღაც სასწაულს — ჩვენთვის ამოუცნობს, უცნაურსა და მიუწვდომელს.

შემოგვხედავდა. ჩაეღიმებოდა, ალბათ, სიამოვნებდა ჩვენი მისდამი ასეთი გამორჩეული ყურადღება: ასე იყო თუ ისე, რაღაც პატარა აუდიტორიას ხომ მაინც წარმოვადგენდით? თუმცა ამ პატარა ბიჭებს, წიგნებით გაბერილი ჩანთებით გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და ამიტომაც შემოგვძახებდა:

— სკოლიდან მოდიხართ, ბიჭუნებო? რა კარგები ხართ! აბა, წადით ახლა სახლებში, გაკვეთილები მოამზადეთ და რომელიმე ჩვენგანს თავზე მოფერებით ხელს მოგვითათუნებდა... წავიდოდით, აბა სხვა რა გზა გვქონდა...

ტრამვაიშიც მინახავს იგი უკანა სკამზე ჩამოძინებული. მაშინ ვაგონებში კონდუქტორები ყიდდნენ ბილეთებს. ისინი, როგორც წესი, ნაფრონტალი, უხეში, გამხდარი, ნაადრევად დაბერებული რუსი დედაკაცები იყვნენ, გულზე ბილეთების გორგალითა და კისერზე ჩამოკიდებული შავი ჩანთით, პირში „ბელამორკანალის“ სიგარეტგაჩრილები განუწყვეტლივ აბოლებდნენ... მთელი მათი არსებობის ფილოსოფია და ცხოვრების მიზანი ბილეთების გაყიდვითა და უბილეთო მგზავრებთან „უკომპრომისო“ ბრძოლით შემოიფარგლებოდა. რისი გალაკტიონი და რომელი პოეზია! (ლექსები არა, ტარხუნა!)...



სკამზე ჩაძინებული ნებისმიერი ადამიანი მათთვის ჩვეულებრივი „ბომჟი“ იყო, ტრამვაის ბოლო გაჩერებაზე აუცილებლად რომ უნდა ჩამოეგდოთ.

– Конечная остановка! Освободите вагон!

გალაკტიონს კი, უთავბოლო, აწეწილი ცხოვრებისგან „შებარბაცებულსა“ და დაღლილ-დაქანცულს, ღრმად ჩასძინებოდა და ეს ბრძანებლური შეყვირება არ ესმოდა, გულზე მიხუტებული ჩანთით ადგილიდან არ იძვროდა. კონდუქტორი უხეშად შეანჯღრევდა ხოლმე და გამყინავი ხმით დასჩხავლებდა:

– эй, ты, проснись и вываливай отсюда!

ერთი სიტყვით, ჩაეთრიეო. ახალგაღვიძებული, თვალებაწითლებული, გალაკტიონი, სხვა გზა არ იყო, ტრამვაიდან მძიმედ ჩავიდოდა. ვიდექი პატარა ბიჭი და საკუთარი უმწეობისა მრცხვენოდა — გული მწყდებოდა, თვალები მეცრემლებოდა, რომ ამ ქალის უხეში და უტიფარი ძალადობისგან დიდი პოეტის დაცვა არ შემეძლო...

მოგვიანებით, ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე პედაგოგის მარიამ დოჭვირის დიდი ძალისხმევით, გალაკტიონი ჩვენს სკოლაშიც მობრძანდა. პირველი მას ჩვენი მასწავლებელი მოწიწებით და გულთბილად მიესალმა. სახე ალეწოდა, ღელავდა. მაინც არ უღალატია თავისი პროფესიული ოსტატობისათვის — გამართულად, ლაღად მეტყველებდა. უნებურად გაგვახსენდა მისი ნათქვამი, გალაკტიონს ქუთაისიდან, ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობო. მეც მომიწია იმ შეხვედრაზე გამოსვლა და წავიკითხე მისი „მთაწმინდის მთვარე“, როცა აღელვებულ და სახეაფორაჯებულ პედაგოგს ვუსმენდით, კიდევ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენა ეჭვი, რომელიც მაშინ მოსწავლეებში გავრცელებულიყო, თითქოს დიდმა პოეტმა გენიალური ლექსი „მერი“ სწორედ მარიამ დოჭვირს მიუძღვნა:

მერი შერვაშიძემ და გიორგი ერისთავმა ჯვარი ქუთაისში დაიწერეს.

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი — ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

რა თქმა უნდა, მოგვიანებით ყველამ შევიტყვეთ, სინამდვილეში ვინც იყო ამ ლექსის ულამაზესი ადრესატი — მერი შერვაშიძე.

უმშვენიერესი მერი პეტერბურგში, იმპერატორის კარზე ფრეილინა გახლდათ.

საგულისხმოა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ მეორეს, მერი შერვაშიძისთვის თვალი რომ შეუვლია, გაოცებულა და აღფრთოვანებულს აღმოხდენია: „Книажня, грешно быть такой красивой!“

შემდეგ მერი შერვაშიძე სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა პარიზში, იყო კოკო შანელის მუზა და გამორჩეული მოდელი, სადაც აღესრულა 98 წლის ასაკში.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, როდესაც იმპერატორს სიხარულით მოახსენეს, რომ ბათუმთან, ჩაქვში შესაძლებელია ჩაის გაშენება, მცირე ფიქრის შემდეგ მან მოხსენებით ბარათს წააწერა: **„როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩაი კოლონიურ შრომას მოითხოვს, მე კი არ მსურს, რომ ისეთი მშვენიერი ერი, როგორიც ქართველები არიან, გადაგვარდეს.“**

როდესაც დიდმა გალაკტიონმა თავისი წამებული სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა, ჩვენი მე-6 ვაჟთა სკოლის (ახლა 55 სკოლა) კლასის მოსწავლეები თაიგულით მივედით მწერალთა კავშირში პოეტთან გამოსათხოვებლად.

დაღონებულებს ბევრს ცრემლი მოგვერია.

უკრაინელი ტამარა კოზერენკო 30 წლის წინათ აფხაზეთში დაშორდა ხათუნა ბერიძეს და... გუშინ კვლავ შეხვდა!

თბილისის მერიაში გუშინ დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და ჩოგბურთის ყოფილი კორტების განვითარების კონცეფცია წარადგინა.

მისივე თქმით, აღნიშნული ტერიტორია 2009 წელს კორპუსების მშენებლობის მიზნით იყო პრივატიზებული, თუმცა, მუნიციპალიტეტმა ადგილმონაცვლეობის გზით დაიბრუნა საკუთრებაში, შემდეგ კი სპორტული კომპლექსის განვითარების პირობით, ხელახალი პრივატიზება განახორციელა. თბილისის მერმა სხდომაზე ტერიტორიის სამომავალო განვითარების ამსახველი ფოტომასალაც წარადგინა.

თბილისის მერმა სხდომაზე ტერიტორიის სამომავლო განვითარების ამსახველი ფოტომასალაც წარადგინა.

მოეწყობა სამი საჩოგბურთო კორტი, მათგან ორი დახურული და ერთი — ღია; 50-მეტრიანი საცურაო აუზი, ფიტნეს კლუბი, კაფე, დასასვენებელი სივრცეები, ძალიან ლამაზი პროექტია და არსებულ სივრცეს ძალიან მოუხდება. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა, ძალიან მალე გვექნება ყოველმხრივ მოწესრიგებული სივრცე. ეს პროექტი ძალიან კარგად ჯდება არსებულ ურბანულ ქსოვილში და მივესალმები მის განხორციელებას.

* * *

კახა კალაძემ გუშინდელ სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ სამშენებლო კომპანიები გაზრდილი K2 კოეფიციენტის მოსაკრებლის დავალიანების გადანაწილებას შეძლებენ.

მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა მიმდინარე და შეჩერებული პროექტების გაგრძელებას შეუწყობს ხელს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ყურადღება გამახვილდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა და ვადიანი აბონემენტებია. აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის მაისიდან შესაძლებელი იქნება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ვადიანი სამგზავრო აბონემენტები საბანკო ბარათებს მიებას. ამ სერვისის ამოქმედების შედეგად, მგზავრს ცალკე სამგზავრო ბარათის ტარება აღარ მოუწევს, რადგან საბანკო ბარათზე ნებისმიერი ვადის აბონემენტის ჩართვის შესაძლებლობა იქნება.

* * *

დედაქალაქის მერმა გუშინდელ სხდომაზე ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მერია „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის“ მოსარგებლეთა და სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობას ზრდის, პროგრამის ბიუჯეტი კი ექვს მილიონ ლარს გადააჭარბებს.

„თბილისის მერია აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღეს — 2 აპრილს, სიახლით ხვდება. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის“ მოსარგებლეთა და სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების რაოდენობას ზრდის, პროგრამის ბიუჯეტი კი ექვს მილიონ ლარს გადააჭარბებს. პირველი აპრილიდან, ამ პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა რიცხვი 170-ით გაიზრდება და 1 545 ბავშვი და მოზარდი დაფინანსდება, სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს კი, ერთი ცენტრი დაემატება და სულ, პროგრამას რვა დაწესებულება მოემსახურება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული პროგრამის განხორციელება 2015 წელს დაიწყო და მაშინ მისი ბიუჯეტი 500 000 ლარი იყო.

„მას შემდეგ, პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდებოდა და შესაბამისად, მეტი ბავშვის დაფინანსება ხდებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, თავიდან თუ თერაპიული სეანსები 2-დან 14 წლის ასაკის ბავშვებს უფინანსდებოდათ, დარგის სპეციალისტებთან და შესაბამისი ასოციაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, მერიამ 2018 წლიდან, პროგრამაში ჩართული მოზარდების ასაკი 18 წლამდე გაზარდა. თბილისის მერიას ერთი ბენეფიციარის დასაფინანსებლად, წელიწადში 4 800 ლარი აქვს გათვალისწინებული და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული კომპლექსური თერაპიის 20 სეანსს აფინანსებს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ ამ პროგრამის დაწყებით თბილისმა ბევრ სხვა მუნიციპალიტეტს მისცა მაგალითი. გარდა ამისა, მისივე თქმით, მსგავსი პრობლემის მქონე პირების მხარდაჭერა მერიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

თბილისის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ვაკის რაიონის გამგეობის დაკვეთით, წყნეთში, ამილახვრის №23-ში, თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანი ეწყობა.

„მინდა, შევეხო ერთ სპორტულ სივრცეს, რომელიც წყნეთში, ამილახვრის №23-ში მდებარეობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს იყო საფეხბურთო მოედანი, სადაც იმართებოდა ტურნირები, შეჯიბრებები და ეს სივრცე იყო მოძველებული. გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული მოედნით სარგებლობა და ვაკის რაიონის გამგეობამ დაიწყო მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები და განახლება. უახლოეს მომავალში პროექტი დასრულდება და ეს კონკრეტული ადგილი კვლავ ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აქტიურ ადგილად იქცევა. არსებული სივრცე მთლიანად იქნება რეაბილიტირებული. მოეწყობა ტრიბუნები, ახალი ხელოვნური საფარი, ღამის განათება. ამდენად, რაც საჭიროა სპორტული მოედნის მოსაწყობად, ყველაფერი იქნება გაკეთებული. ამ პროექტის განხორციელებას სრულად უზრუნველყოფს ვაკის რაიონის გამგეობა“.

* * *

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ დედაქალაქის საჯარო ბაღებში საქართველოში მყოფი უკრაინელი ბავშვების მიღება დაიწყო. კახა კალაძემ №69 საბავშვო მომხდარი ისტორიის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსულმა აგრესიამ ძველი მეზობლები ერთმანეთს კვლავ შეახვედრა.

„ომი არის დიდი უბედურება. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ყველაფერი გამოვლილი გვაქვს და ვიცით რას ნიშნავს. მინდა მოგიყვეთ ერთი ისტორია. როგორც იცით, თბილისის მუნიციპალურ ბაღებში დავიწყეთ უკრაინელი პატარების მიღება, სადაც მათ ექნებათ უფასო მომსახურება. ასე აღმოჩნდა თბილისის 69-ე ბაღში უკრაინის მოქალაქე ტამარა კოზერენკოს გოგონა, რომლის პედაგოგიც არის ქალბატონი ხათუნა ბერიძე. ამ ამბავში უცნაური არაფერია, გარდა ერთი რამისა — ორივე ქალბატონი ოდესლაც აფხაზეთში ცხოვრობდა, ისინი მეზობლები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ. ომმა და წლებმა მეზობლები ერთმანეთს დააშორა, თუმცა, დღეს რუსულმა აგრესიამ ისინი ისევ შეახვედრა ერთმანეთს. მჯერა, ომი მალე დასრულდება და ადამიანები შეძლებენ საკუთარ სახლებს მშვიდობიანად დაუბრუნდნენ. მინდა, მშვიდობა ვუსურვო უკრაინას და უკრაინელ ხალხს“.

ამასთან, თბილისის მერმა აღნიშნა, რომ ბელიაშვილის ქუჩა №5-ში მდებარე ლოჯისტიკურ ცენტრში უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ტვირთების შეგროვებისა და გაგზავნის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. მან რიგით მოქალაქეებს და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს პროცესში ჩართულობისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

ლევან დავითაშვილი: საქართველოში „შავი ფულის“ შემოდინება აბსოლუტურად გამორიცხულია!

საქართველო არის ყველა იმ შეთანხმების ნაწილი, რომელიც საქართველოში არაკანონიერი შემოსავლების ბრუნვის პრევენციას აკეთებს, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ე.წ. შავ ფულთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისივე თქმით, მათ შორის ფულადი ნაკადების მიმოცვლასთან დაკავშირებით არსებობს მონიტორინგის სისტემა, რასაც მკაფიო ზედამხედველობას უწევენ ეროვნული ბანკი და შესაბამისი სტრუქტურები.

„შავ ფულს“ რაც შეეხება, ეს აბსოლუტურად გამორიცხულია და თუ ოდნავ მაინც არის ჩახედული ადამიანი საკითხში, ძალიან მკაფიოდ შეუძლია ინფორმაციის მიღება, რომ საქართველოს ფინანსური სისტემა დღეს მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველო არის ამ კუთხით საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი, სადაც გამორიცხულია რაიმე ტიპის ტრანზაქცია და რისკები. საქართველო არის ყველა იმ შეთანხმების ნაწილი, რომელიც საქართველოში არაკანონიერი შემოსავლების ბრუნვის პრევენციას აკეთებს. არსებობს რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის და მონიტორინგის სისტემა, მათ შორის ფულადი ნაკადების მიმოცვლასთან დაკავშირებით, რასაც მკაფიო ზედამხედველობას უწევენ ეროვნული ბანკი და შესაბამისი სტრუქტურები.

საქართველოს საბანკო სისტემა პასუხისმგებლიანია და მეტსაც ვიტყვი, ერთ-ერთი მოწინავეა ტრანსფარენტულობისა და გამჭვირვალობის კუთხით, რადგან დანერგილია ყველა ის ძირითადი მაკონტროლებელი ინსტრუმენტი, რაც ბანკებს უნდა ჰქონდეთ. ამავდროულად, საქართველოს საბანკო სისტემა, არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მუშაობს, დიდ ბანკებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე, აქვთ დამატებითი ინსტრუმენტები, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ინვესტორებთან. შესაბამისად, ჩვენთან, საქართველოში ეს გამორიცხულია. ამის მუდმივი შეფასება ხდება საერთაშორისო დონეზე. ამ კუთხით საქართველო არის სანდო და არასოდეს ყოფილა შენიშვნა, როდესაც ძალიან ბევრი, მათ შორის განვითარებული ქვეყანა, ევროპის წევრი ქვეყანაც კი, ხშირ შემთხვევაში, შეფასებების დროს შენიშვნებს იმსახურებს ხოლმე“, — დასძინა ლევან დავითაშვილმა.

3000-მდე საქართველოს მოქალაქეს დახმარება გაეწია!

სახელმწიფო აგრძელებს უკრაინაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დახმარებას მათი ევაკუაციის, სამშობლოში გამომგზავრების და მათთვის პირველადი საჭიროებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ დროისთვის, დახმარება გაეწია საქართველოს 3000-მდე მოქალაქეს, როგორც პირველადი მოხმარების ნივთებით, ასევე სამედიცინო კუთხით, ტრანსპორტირებითა და დროებითი საცხოვრებლით. მათ შორის, გასული კვირის განმავლობაში, სამშობლოში ორგანიზებულად გამოემგზავრა საქართველოს 100 მოქალაქე.

სისტემატურად ხორციელდება სპეციალური რეისები ლვოვი-ვარშავის მიმართულებით საქართველოს მოქალაქეების ტრანსპორტირებისთვის, ისევე, როგორც ხდება მათი ორგანიზებული გადაყვანა ოდესიდან უკრაინის მოსაზღვრე სახელმწიფოებში.

გონიერი და ფრთხილი ისრაელი და კიდევ უფრო ფრთხილი რუმინეთი...

ადრეა გადაჭრით იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ იგებს ომს – რუსეთი თუ უკრაინა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია თქმა, რომ რუსეთი იოლ და სწრაფ გამარჯვებას გამოეშვიდობა. მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ომის პირველივე დღეებში, უკრაინის სამხედრო ძალები იარაღს დაყრიდნენ, მოსახლეობის უმრავლესობა კი, რუს ჯარისკაცს ყვავილებით შეეგებებოდა. ომის დაწყებიდან, ერთი თვე გავიდა და რუსებმა სრულიად განსხვავებული სურათი მიიღეს ბრძოლის ველზე.

რუსული არმია უზარმაზარ მატერიალურ და მორალურ ზარალს განიცდის უკრაინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც თავდადებულ პარტიზანულ ომს აწარმოებენ დამპყრობლის წინააღმდეგ. ყოველდღე იზრდება მოკლულ რუს ჯარისკაცთა რიცხვი.

დასავლელი ანალიტიკოსები 17 ათასამდე დაღუპულს ითვლიან რუსეთის მხარეს. შედარებისთვის, 10 წლის მანძილზე, ავღანეთის ომში მხოლოდ 15 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ომი გაგრძელდება და მსხვერპლის რაოდენობაც გაიზრდება, და არა მხოლოდ ერთ მხარეს. ცოცხალი ძალის გარდა, რუსეთის სამხედრო ძალები სამხედრო ტექნიკის დიდ დანაკარგებს განიცდიან. ჯარის ახალი ძალებით შევსება არ გამოდის, და შესაბამისად, ვერც შეტევაზე გადასვლა ხერხდება მთელი ძალით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუს ჯარისკაცს მოტივაციაც აკლია. უკვე მიხვდნენ, რომ მართლა ფაშისტებს კი არა, მოძმე ხალხს ებრძვიან. დემორალიზაციისთვის უფრო დიდი მიზეზი არ არსებობს.

ხარკოვის, მარიუპოლის, კიევისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა, უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად, თავგანწირულად იბრძვის მტრის შესაკავებლად. რუსები ყოველდღე ახორციელებენ საარტილერიო და სარაკეტო დარტყმებს, რის გამოც უკრაინის მხარესაც არის ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის დიდი დანაკარგები. უკრაინის თითქმის მთელი ინფრასტრუქტურა განადგურებულია, მათ შორის, სამხედრო დანიშნულების ქარხნები. უკრაინის არმია უკვე განიცდის იარაღის დეფიციტს. ამ დანაკლისის აღმოფხვრა მხოლოდ მათ დასავლელ მხარდამჭერებს თუ ძალუძთ.

დასავლელი ანალიტიკოსები ომის გაგრძელების ორ სცენარს მოიაზრებენ: პირველი – რუსეთის არმია უფრო დაუნდობელი გახდება, და არაა გამორიცხული, ჩეჩნეთის ომის მოდელი გაიმეოროს. რუსეთი ეცდება მთლიანად გაანადგუროს უკრაინის ინფრასტრუქტურა და ფაბრიკა-ქარხნები, გააძლიეროს შეტევა ქალაქებზე, რაც დიდ ადამიანურ მსხვერპლს გამოიწვევს. სცენარის მეორე ვარიანტი კი, ხანგრძლივი პოზიციური ომია, რითაც რუსეთი ეცდება უკრაინის არმია და მოსახლეობა გამოფიტოს.

თუ აქამდე მსოფლიო მასშტაბის თავდაჯერებული ეიფორია გვამხნევებდა, რომ უკრაინა სამართლიანად დაძლევს რუსეთის აგრესიას დანარჩენი სამყაროს მხარდაჭერით, ახლა უკვე შიში ისადგურებს ირგვლივ იმის მიმართ, თუ რას იზამს დამარცხებული, თუნდაც ნახევრად დამარცხებული და ჩიხში გამომწყვდეული რუსეთის პრეზიდენტი.

* * *

რუმინეთზე და რუმინელ ხალხზე იშვიათად თუ გავიგონებთ ხოლმე რამეს ძალიან გახმაურებულს. ხანდახან, მგონია, რუმინეთის კომუნისტი დიქტატორის ნიკოლაე ჩაუშესკუს ტრაგიკული ამბების მერე, ოცდაათზე მეტი წლის წინ, დიდად მნიშვნელოვანი და საინტერესო არაფერი მომხდარა იქ, თუმცა, რუმინეთი აღმოსავლეთ ევროპის, ანუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის, ერთ-ერთი საყურადღებო ქვეყანაა დღეს, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ომის ქარცეცხლით მოცული უკრაინიდან, რუმინეთმა ნახევარ მილიონამდე ლტოლვილი მიიღო.

ძალიან დიდი საქმეა და მძიმე პასუხისმგებლობა! რუმინეთი, ისევე როგორც პოლონეთი, საპრეზიდენტო და საპარლამენტო შერეული სისტემის მქონე რესპუბლიკაა, სადაც სახელმწიფოს პირველი პირი პრეზიდენტია, რომელიც საგარეო და თავდაცვით პოლიტიკას განაგებს ქვეყანაში. რუმინეთის მთავარი აღმასრულებელი პირი დღეს 63 წლის პრეზიდენტი კლაუს ვერნერ იოჰანისია, წარმოშობით, ტრანსილვანიელი გერმანელი. ტრანსილვანიელი გერმანელები დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე მეთორმეტე საუკუნეში დასახლდნენ. მათი უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაში გადასახლდა, მათ შორის, კლაუს იოჰანისის მშობლებიც, თუმცა, თავად კლაუსი დედ-მამას არ გაჰყოლია. ის რუმინეთში დარჩა საცხოვრებლად, სადაც, 20 წლის ასაკში, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. სამხედრო სამსახურის შემდეგ, მან ბაბეშ ბოლიას უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა და თავის მშობლიურ ქალაქს სიბიუს დაუბრუნდა, სადაც სკოლის ფიზიკის მასწავლებლობით დაიწყო და ქალაქის განათლების სამმართველოს უფროსობით დაამთავრა.

1990 წელს, კლაუს იოჰანისი რუმინელი გერმანელების დემოკრატიული ფორუმის წევრი, მოგვიანებით კი, ლიდერი გახდა. 2000 წელს, ის ქალაქ სიბიუს მერად აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული უმცირესობა ქალაქის მოსახლეობის ორ პროცენტსაც კი არ შეადგენდა, კლაუსმა ყველასთვის მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ, მან ზედიზედ სამჯერ მოიგო სიბიუს მერობის არჩევნები. იოჰანისი რუმინეთის პოლიტიკურ ისტორიაში შევიდა, როგორც მოსახლეობის ყველაზე დიდი მხარდამჭერის მქონე ქალაქის მერი: პირველად, ხმების 70 პროცენტი აიღო, მეორედ 89, მესამედ 83 და ბოლოს, 2012 წელს, ხმების 78 პროცენტი შეაგროვა. სიბიუს მერად მუშაობის დროს, იოჰანისმა განსაკუთრებული ყურადღება ქალაქის ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქციას დაუთმო, მოახდინა ქალაქის საერთაშორისო აეროპორტის მოდერნიზაცია და სიბიუ ნამდვილ ინდუსტრიულ ცენტრად გადააქცია.

2007 წელს, სიბიუ ევროპის კულტურულ დედაქალაქად დაასახელეს. 2009 წელს, რუმინეთის პარლამენტის ხუთი პოლიტიკური ჯგუფიდან, ოთხმა, მაშინდელი პრეზიდენტის ტრაიან ბესესკუს დემოკრატიულ-ლიბერალური პარტიის გამოკლებით, იოჰანისი რუმინეთის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარადგინა, თუმცა, პარლამენტის მხარდაჭერის მიუხედავად, პრეზიდენტმა უარყო მისი კანდიდატურა. 2013 წელს, იოჰანისი რუმინეთის ლიბერალთა ლიდერის, კრინ ანტონესკუს ეროვნულ-ლიბერალურ პარტიაში გაწევრდა და მაშინვე პარტიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, ხოლო მომდევნო წელს

მისი ლიდერი გახდა. ერთი წლის შემდეგ, ეროვნულ-ლიბერალურმა და დემოკრატიულ-ლიბერალურმა პარტიებმა ქრისტიან-ლიბერალური ალიანსი ჩამოაყალიბეს, რომელმაც 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად კლაუს იოჰანისი წარადგინა. საარჩევნო კამპანიის დროს, იოჰანისმა ყურადღება კორუფციასთან ბრძოლასა და მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებაზე გაამახვილა.

კენჭისყრის პირველი ტურის შედეგების მიხედვით, იოჰანისმა ხმების მხოლოდ 30 პროცენტი მიიღო, რამაც მეორე ტურის აუცილებლობა შექმნა. მეორე ტურში კი, კლაუს იოჰანისს ხმა კენჭისყრაზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა 55-მა პროცენტმა მისცა. იოჰანისის ინაუგურაცია 2014 წლის 21 დეკემბერს სენატისა და დეპუტატთა პალატის საერთო სხდომაზე გაიმართა. პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შემდეგ, მან შეაჩერა თავისი წევრობა ეროვნულ-ლიბერალურ პარტიაში, რადგან რუმინეთის კონსტიტუცია პრეზიდენტს არ აძლევს უფლებას, იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. იოჰანისის პრეზიდენტობის პირველი წელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტასთან მწვავე დაპირისპირებით აღინიშნა, რომელიც, მაშინ, კორუფციულ სკანდალში გაეხვა, რის გამოც, პრეზიდენტმა თავის პრემიერს თანამდებობის დატოვება მოსთხოვა. სკანდალს რუმინეთის მოსახლეობაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.

შედეგად მთელი მთავრობა გადადგა. ქვეყანაში კი, პრეზიდენტ იოჰანისის ინიციატივით, რეფერენდუმი ჩატარდა, რომელიც ანტიკორუფციული კანონების აქტივიზაციისა და გაძლიერების საკითხს მიეძღვნა. პრეზიდენტმა თავისი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა მიიღო. 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, იოჰანისმა თავისი კანდიდატურა ხელახლა წამოაყენა და გაიმარჯვა. პრეზიდენტი იოჰანისი ნატოს გაძლიერების მომხრეა. მისი თაოსნობით, რუმინეთში ნატოს სამხედრო ბაზები გაიხსნა. ის, ასევე, მხარს უჭერს შავ ზღვაზე ნატოს ძალების დომინირებას. რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას ემხრობა, თუმცა მან თავიდანვე განაცხადა, რომ რუმინეთი არასოდეს არ ჩაებმება რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში.

მის ქვეყანაში იმიგრირებულ უკრაინელ მოქალაქეთა უსაფრთხოებას კი, ყოველგვარად დაიცავს. არც თუ ისე შორეულ წარსულში კომუნისტური დიქტატურის მქონე სახელმწიფოს, ახლა კი დემოკრატიული რუმინეთის ლიდერი, კლაუს იოჰანისი, 2020 წელს, შარლემანის პრიზით დააჯილდოვეს ევროპის ერთიანობისა და ევროპულ ღირებულებათა განმტკიცების გამო. ქვეყნის პირველი ლედი კარმენ იოჰანისი ეთნიკური რუმინელია. ის კათოლიკური მრწამსის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ერთი ცნობილი კვლევის თანახმად, კარმენი მსოფლიო ლიდერთა ცოლებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ და ელეგანტურ ქალბატონად ჩაითვალა. ის რუმინეთის სამეფო ოჯახის დიდი გულშემატკივარი და მიშელ ობამას თაყვანისმცემელია. მოყვარულთა ბალეტში ცეკვავდა, უყვარს თეატრი, უკრავს ფორტეპიანოზე, ეტრფის ფრანგულ სამზარეულოს და სახლში პერსონალური ტრენერი დაუდის.

კლაუსმა და კარმენმა 1989 წელს იქორწინეს. მათ ერთმანეთი უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას გაიცნეს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ორივე, მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში. კარმენი პროფესიით ინგლისური ენის ფილოლოგია. ზუსტად კარმენის მიმართ დიდი სიყვარულის გამო იყო, რომ იოჰანისი თავის მშობლებს გერმანიაში სამუდამოდ საცხოვრებლად არ გაჰყვა. ამ ცნობილ წყვილს შვილები არ ჰყავთ.

* * *

რუსულ-უკრაინული ომის პერიპეტიებზე, ისრაელი უმოქმედოდ არ არის, მაგრამ ფრთხილად რომ იქცევა, ესეც ფაქტია. ისრაელი აკვირდება ყველას და ყველაფერს, ზომავს და წონის თითოეულ სიტყვას, და ცდილობს ზომიერების ზღვარს არ გასცდეს. პრინციპში, ყველა სახელმწიფო ასე იქცევა, თუ არ ჩავთვლით უკრაინის მიმართ მათ ინტენსიურ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას და მოხალისეთა გულწრფელ ენთუზიაზმს, ხელი შეაშველონ ამ საშინელ გასაჭირში ჩავარდნილ უკრაინელ ხალხს. ისრაელის მთავრობის პოლიტიკური სიფრთხილე რუსეთის მიმართ არ მოსწონთ დასავლეთში, უკრაინა კი, ამის გამო, უბრალოდ, ნაწყენია.

უკრაინის პრეზიდენტმა 20 მარტს ქნესეთს, ანუ ისრაელის პარლამენტს მიმართა და ის პირდაპირ დაადანაშაულა უმოქმედობაში. წარმოშობით ებრაელმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საუკუნის წინ ებრაელთა დევნა და რუსეთის დღევანდელი ომი უკრაინის წინააღმდეგ ერთმანეთს შეადარა და განაცხადა, რომ ასეთ ვითარებაში, ადამიანთა გულგრილობა მას, უბრალოდ, ანადგურებს. ზელენსკის ამ სიტყვებმა ძლიერ გაანაწყენა ისრაელის არაერთი პოლიტიკოსი. მათი აზრით, ჰოლოკოსტისა და უკრაინაში ომის ერთმანეთთან შედარება დაუშვებელია. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, თითქოს თავს იცავდაო, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი სხვაზე მეტად სწორედ რომ უკრაინას ეხმარება ყველაფერში.

ისრაელი ამ კონფლიქტში მხარე კი არა, შუამავალი უნდა იყოს, და ზუსტად ამას ცდილობს ისრაელის ახლანდელი მთავრობა, რის უტყუარი მტკიცებულება ნაფტალი ბენეტის ამასწინანდელი ვიზიტია მოსკოვში. როგორც ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაირ ლაპიდმა განაცხადა, ისრაელი უკრაინას ჰუმანიტარულ დახმარებას გაუწევს, თუმცა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს ჯერ არ შეუერთდება.

ისრაელის ანალიტიკოსების უმრავლესობის აზრით, ისრაელისთვის რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია, რადგან რუსეთს შეუძლია ახლო აღმოსავლეთში ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომ ისრაელის უსაფრთხოების საკითხი დადგეს. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება სირიაში კონფლიქტი. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ასადის რეჟიმს ზურგს არა მარტო რუსეთი, არამედ ირანიც უმაგრებს. ირანის სამხედრო ძალები უკვე კარგა ხანია სირიაში არიან განლაგებული, რაც ისრაელისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მხოლოდ რუსეთის ყოფნა სირიაში ანეიტრალებს ამ საფრთხეებს. ასევე, ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ისრაელის გადასვლამ დასავლეთის ბანაკში რუსეთის მხრიდან ისრაელზე შურისძიება შეიძლება გამოიწვიოს. კერძოდ, რუსეთი შეეცდება ლიბანის რადიკალური ისლამური მოძრაობის, ჰეზბოლას წახალისებას, მათ შორის, იარაღით. თუმცა, მიმდინარე კონფლიქტის ფონზე, რამდენად ექნება რუსეთს ამის შესაძლებლობა, უცნობია.

ასეა თუ ისე, საფრთხე რეალურია და ესეც დიდი მუქარაა ისრაელის უსაფრთხოებისთვის. ისრაელისთვის მთავარ პრობლემად ირანის ბირთვული შეიარაღება და მასთან დაკავშირებული შეთანხმება რჩება. პარადოქსია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ისეთი კოალიციები წარმოიშვა, რომელთა შექმნა ადრე შეუძლებლად ითვლებოდა. ამერიკაც და ევროპაც ირანთან ახალი ბირთვული შეთანხმების მიღწევით არიან დაინტერესებულნი, რასაც ისრაელი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მათი აზრით, ახალი ბირთვული შეთანხმება არ არის საკმარისად მკაცრი, და შესაბამისად, ირანი შემოვლითი გზებით მაინც შეძლებს ბირთვული იარაღის შეძენას.

ამ აზრს მთლიანად იზიარებენ სპარსეთის ყურის ქვეყნები. ისინი ადანაშაულებენ შეერთებულ შტატებს, რომ რუსეთის იზოლირების გამო, ამერიკა ირანთან დათმობაზე მიდის, რასაც ახლო აღმოსავლეთი ახალ კონფლიქტამდე მიჰყავს. როგორც ისრაელის ცნობილმა ექსპერტმა, პროფესორმა ეფრაიმ ინბარმა განცხადა, ისრაელისთვის ადვილი არ არის ამ საკითხში ლავირება, რადგან პრობლემა ისრაელის უსაფრთხოებასთან პირდაპირ კავშირშია. ყველა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა ახლა, ამ საერთაშორისო ჯუნგლებიდან უმტკივნეულოდ და უდანაკარგოდ თავის დაღწევაა.

ნუგზარ ბ. რუხაძე.

ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲩᲕᲔᲜᲝᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ!

რა არის აფხაზეთი? – პასუხი მარტივია – სიყვარულია! 29 წელია, აფხაზეთიდან დევნილი 300 ათასი ქართველისთვის ეს ყოველდღიურობაა. საქართველოს უახლეს ისტორიაში 27 სექტემბერი ერთ-ერთი უმძიმესი დღეა! 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა! 29 წელია, ამ დღის გათენების მეშინია! ამ დღემ წამართვა ლამაზი ბავშვობა; წამართვა ჩემი მზიანი ქალაქი და წამართვა ის გმირები, რომელთა სისხლით მოირწყა სოხუმის ლამაზი ქუჩები!

სამწუხაროდ, აფხაზეთის ომმა უმძიმესი ისტორიები შემოინახა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის თანამშრომელი, ზაირა ქებურია, აფხაზეთის ომის დროს 35 წლის იყო, როცა დახვრიტეს. მისი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ბრძოლის ველზე იმყოფებოდა და დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს ეხმარებოდა. ორი შვილის დედა, შვილებთან ერთად, 1993 წლის 16 სექტემბერს ტყვედ აიყვანეს. იცოდნენ, რომ ქართველ ჯარისკაცებს ეხმარებოდა, ამიტომ ის ცალკე გაიყვანეს. უყვიროდნენ, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდნენ, მერე ერთ-ერთი ავტომატიანი ჩუმად მდგარ ქალს მიუახლოვდა და კონდახი თავში ჩაარტყა, მეორეც აყვა, ცოტა ხანში მას „ბოევიკების“ მთელი ჯგუფი კონდახებით უმოწყალოდ ცემდა. დაშინების მიზნით, ირგვლივ დაიწყეს ავტომატის სროლა, ჯერ ფეხებში ესროლეს, შემდეგ კი მის ნაწამებ სხეულზე გადაატარეს ავტომატის ჯერი. ტყვედ აყვანილებს 15 წუთი მისცეს, რომ წამებით მოკლული მიწისთვის მიებარებინათ.

აფხაზეთის ომი ცნობილია თავისი უმძიმესი ისტორიებით და რა თქმა უნდა, თავისი მძიმე ისტორიები აქვთ აფხაზებს. უმძიმესია ძმები თარბების ისტორია. 20 წლის ტყუპი ძმები ტყვედ აიყვანეს. ერთ-ერთმა ითხოვა, რომ მისი ძმის სიკვდილის მომსწრე არ გამხდარიყო და პირველი ის მოეკლათ, მაგრამ პირიქით მოხდა – ძმა მის თვალწინ დახვრიტეს, რამდენიმე წუთში კი, ისიც გამოასალმეს სიცოცხლეს. იმის მიუხედავად, რომ 29 წლის წინ ქართველი და აფხაზი ერთმანეთს ტვიას ესროდა, დღეს რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. ამ მხრივ სასიამოვნოა აფხაზი და ქართველი დედების დაახლოების ისტორია. უკვე წლებია აფხაზი შავოსანი დედები იმ ქართველების სასაფლაოს პატრონობენ, რომლებიც ომმა შეინირა.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური ქსელი. მაგალითად, აფხაზები ადიან სასაფლაოზე, იღებენ ფოტოებს და უგზავნიან მათი ოჯახის წევრებს. პირადად მე, რომელსაც სოფელ კომანში ორი ძმის საფლავი მაქვს, ჩემი აფხაზი მეზობლის დახმარებით ვახერხებ, რომ ყოველ აღდგომას ჩემ მიერ შეღებილი წითელი კვერცხი და „პასკა“ ამშვენებდეს მათ საფლავს. თუმცა, სამწუხაროდ ამას არაოფიციალური მხარე აქვს.

რუსების მიერ ოკუპირებულ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ აღიარებული აფხაზეთის მოსახლეობა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან, თავისუფლად შეუძლიათ, მაგალითად, სამედიცინო დახმარება რუსეთში მიიღონ, მაგრამ არჩევანს საქართველოზე აკეთებენ, მათ შორის ეკონომიკური, თუ ტურისტული კუთხითაც, რადგან ქართული მენტალობა უფრო ახლოსაა მათთან. ქართველში არ არის ანტიაფხაზური განწყობა. საქართველოში აფხაზებს ჰყავთ მეზობლები, მეგობრები, ნათესავები და ეხმარებიან ერთმანეთს. რუსები კი, მათ უყურებენ როგორც ველურებს. რუსთან შეუძლებელია გააკეთო ბიზნესი, თუ მაფიოზი არ ხარ. ქართველისთვის აფხაზეთი მშობლიურია, არ „წეწავს“ აფხაზებს, ამიტომ მენტალური და იდენტური სიახლოვის გამო, ისინიც არჩევანს საქართველოს სასარგებლოდ აკეთებენ. აფხაზებს საქართველოში მშობლიური გარემო ხვდებათ და ცუდი დამოკიდებულებაც კი გასაგებია მათთვის.

„სამშობლოს ულეტს და ჩვენ, მშვიდობიან მოქალაქეებს, ბავშვებს და ძალებს დაგვინდობდა?“, – ამ ფრაზის ავტორი ჩემი აფხაზი მეზობელია, რომელიც შარშან 10 დღე ჩემი სტუმარი იყო. ქართველმა და აფხაზმა ჟურნალისტმა ბევრი ვისაუბრეთ ომის შედეგებზე და, რა თქმა უნდა, მომავალ ხედვაზე. მივედით იმ დასკვნამდე, რომ სამწუხაროდ, დაუსრულებელი პოლიტიკური კინკლაობა ყოველდღიურად გვაშორებს აფხაზეთს. აუცილებელია გვერდზე გადავდოთ პოლიტიკური ამბიცები და ერთად ვიზრუნოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, რასაც მოჰყვება დევნილთა ღირსეული დაბრუნება.

აუცილებელია ჟურნალისტებმა ისაუბრონ, რა ხდება აფხაზეთში – არა მარტო უარყოფითი, არამედ დადებითი კუთხით. დღეს, ქართულ მედიაში შუქდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების უარყოფით მხარე, მაგრამ არასდროს ეთმობა დრო დადებით მხარეს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ნდობის აღდგენისთვის არის მნიშვნელოვანი. აფხაზეთში იბადება ახალი თაობა, რომლებიც არჩევანს მშვიდობასა და სტაბილურობაზე აკეთებს. ეს თაობა განიცდის ინფორმაციულ წყურვილს. თავისთავად კარგია სოციალური ქსელით დაწყებული ურთიერთობა, ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს □ლილოს“ ბაზრობას, მათ შორის უფასო ჯანდაცვის პროგრამას, მაგრამ ეს არის ის, რაც ოფიციალურად ხდება. გაცილებით საინტერესოა ის პროცესები, რომელიც აფხაზეთში ვითარდება – ტარდება არაპოლიტიკური ღონისძიებები, აქტიურობენ აფხაზი მეცნიერები, ისინი ღიად მსჯელობენ აფხაზური კულტურის და ენის გადარჩენაზე. დაინტერესების შემთხვევაში ძალიან მარტივად შეიძლება ქართველმა მეცნიერებმა დააყენონ საკითხი – რა პრობლემა აქვს აფხაზურ ენას. ღია და საჯარო უნდა იყოს მსჯელობები იმაზე, რა აწუხებს აფხაზებს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მიმართულებით, მაგრამ, პირველ რიგში, არაპოლიტიკური მიმართულებით.

კონფლიქტის დარეგულირების კუთხით, მნიშვნელოვანი ბერკეტია გალის რაიონის ქართული მოსახლეობა. მამაკაცების ნაწილი დასაქმებულია მშენებლობაზე სოხუმში, გაგრაში და ბიჭვინთაში. რაც შეეხება ქალბატონებს, მათ ათვისებული აქვთ სავაჭრო მიმართულება, მათ შორის ჯანდაცვის მიმართულება. დასაქმებული არიან სოხუმის, გუდაუთის და გაგრის საავადმყოფოებში, მათ აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია აფხაზებთან. მიუხედავად იმისა, რომ 29 წლის წინ მათი მშობლები, თუ ნათესავები ერთმანეთთან ომობდნენ, დღეს პირიქით ხდება – აფხაზი მოსახლეობა საუბრობს იმ პრობლემებზე, რაც მათ აწუხებთ და, პირველ რიგში, ეს არის რუსიფიკაციის პრობლემა, რასაც საფრთხედ მიიჩნევენ. აუცილებელია ამ საკითხებზე მსჯელობა ქართველ საზოგადოებაში, რათა პროგრესულად მოაზროვნე აფხაზებმა იგრძნონ, რომ საქართველოს სახით მათ ჰყავთ მხარდამჭერები. თუ აქედან დავიწყებთ მსჯელობას, მათ შორის ამ საკითხის მედიით გაშუქებას, აფხაზები დაინახავენ, რომ ქართველები ხედავენ არა მარტო ცუდს, არამედ კარგსაც. შესაბამისად, უფრო მეტი თემები წამოვა.

ძალიან ბევრი არხია, სადაც მსჯელობენ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე, შიდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საჭიროა მათი პროექცირება, რომ ჩვენც განვიხილოთ რა ტენდენციებია, რა მიმართულებებია აფხაზურ საზოგადოებაში.

ბიჭვინთაში საკმაოდ დიდი მიწა-წყალი გასხვისდა რუსეთის მოქალაქეებზე, რასაც აფხაზეთში მოჰყვა დიდი ვნებათაღელვა, მაგრამ ქართული მხარისთვის ეს თემა არ აღმოჩნდა საინტერესო. უნდა ვაჩვენოთ აფხაზებს, რომ საქართველოში მათ პრობლემებზე მიდის მსჯელობა. აუცილებელია შეიქმნას ერთგვარი მოედანი, სადაც ქართველი ექსპერტები იმსჯელებენ ამ თემებზე ისე, რომ ამ მსჯელობაში ჩართონ აფხაზური მხარეც. აუცილებელია ჩვენება, რომ საქართველო საუბრობს აფხაზეთის საკითხზე. როდესაც ნახავენ, რომ საქართველოში არსებობს ნორმალური დისკუსია, ისინი უკვე ადგილობრივ დონეზე დაიწყებენ ამ საკითხზე საუბარს. დღეს, აფხაზებს აინტერესებთ ქართველ საზოგადოებაში განიხილება თუ არა აფხაზური საკითხები.

არამარტო ბლოგერები, არამედ ჩამოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ რუსეთში, მაგრამ ჩამოვიდნენ არა როგორც აფხაზები, არამედ როგორც რუსი სტუდენტები. მათ აინტერესებდათ საერთო განწყობა – როგორ უყურებენ ქართველები აფხაზებს, რა განსხვავებაა თბილისსა და რუსეთს შორის, ცხოვრების როგორი კულტურაა. აუცილებელია ეს პრობლემები სწორად იქნას დანახული როგორც ქართული, ისე აფხაზური მხრიდან. დღეს, ისინი ხედავენ, რომ საქართველოში არ არის კონსტრუქციული მიდგომა. საზოგადოებრივ დონეზე გაგების არანაირი მცდელობა არ არის.

აფხაზებისთვის მნიშვნელოვანია, განათლების საკითხი. მნიშვნელოვანია დავიწყოთ ამ თემაზე საუბარი. შევთავაზოთ შემხვედრი ნაბიჯი მთლიანად აფხაზ აბიტურიენტებს და მხოლოდ გალის რაიონი არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი. აფხაზ აბიტურიენტებს, რომლებსაც სურთ, რომ განათლება საქართველოში მიიღონ, უნდა მიეცეთ ამის შესაძლებლობა. აუცილებელია ხელისუფლებასთან ერთად მუშაობა, რომ გავიდნენ კონტაქტზე ამ ახალგაზრდებთან და მისცენ საშუალება ეზიარონ საქართველოში განათლებას.

ჩვენ უნდა ვიმუშაოთ აფხაზი მოსახლეობის იმ კრიტიკულ მასაზე, რომლებიც მზად არიან დიალოგისთვის. მნიშვნელოვანია ქართულ თემად ვაქციოთ ის თემები, რაც აფხაზებს აწუხებთ და ჩავდოთ ჩვენი ინტერესები.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲛᲐᲠᲘᲣᲞᲝᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲡᲗᲐᲜᲐᲐ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲘᲣᲞᲝᲚᲨᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ, ᲛᲐᲗᲒᲐᲜ 210 ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲘᲣᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲕᲐᲓᲘᲛ ᲑᲝᲘᲩᲔᲜᲙᲝ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

მერის ინფორმაციით, ქალაქი უკვე 27 დღეა რუსეთის ძალებს ალყაში აქვთ მოქცეული.

მერის ცნობით, მრავალსართულიანი და კერძო საცხოვრებელი სახლების 90% დანგრეული ან დაზიანებულია. ამასთან, ქალაქში მთლიანად დანგრეულია სამი საავადმყოფო, ერთი პოლიკლინიკა და ერთი სამშობიარო. 57 დაზიანებული სკოლიდან 23 მთლიანად დანგრეულია. ასევე 70 დაზიანებული საბავშვო ბაღიდან დანგრეულია 28. მარიუპოლში ასევე დაზიანებულია ორი ქარხანა, პორტი და სამხედრო ნაწილი. მარიუპოლის ბლოკადის დაწყებამდე ქალაქი 140 ათასამდე ადამიანმა დატოვა, ბლოკადის შემდეგ კი, ქალაქიდან 150 ათასი ადამიანის ევაკუაცია მოხერხდა. მერის მონაცემებით, ამჟამად ალყაში მყოფ ქალაქში დარჩენილია 170 ათასამდე მოქალაქე.

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲛ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. კერძოდ, ადგილობრივი მედიის ცნობით, იაპონიის ხელისუფლება 5 აპრილიდან რუსეთში ძვირადღირებული ავტომანქანების, ასევე საიუველირო ნაწარმისა და ხელოვნების ნიმუშების ექსპორტს კრძალავს.

როგორც სააგენტო „კიოდო“ წერს, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანია იმ ოლიგარქებზე ზეწოლის განხორციელება, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ფინანსურად უჭერენ მხარს. აშშ-სა და ევროკავშირს რუსეთის წინააღმდეგ ანალოგიური ზომები უკვე მიღებული აქვთ.

„ჩვენ ვიმუშავებთ საერთაშორისო საზოგადოებასთან, მათ შორის დიდი შვიდეულის ქვეყნებთან, რათა განვახორციელოთ მკაცრი სანქციები“, – განაცხადა იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა, კოიჩი ჰოგიუდამ.

◎ მორისმა გვასახელა

ყვითელაშვილის ისტორიული შედეგი

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიგურულ ციგურაობაში მორის ყვითელაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც საქართველოს ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

ყვითელაშვილმა თავისუფალ პროგრამაში 179.42 ქულა დააგროვა და კონკრეტულ დისციპლინაში მეხუთე პოზიცია ერგო, მაგრამ ამ შედეგს მოკლე პროგრამის ქულებიც დაემატა (92.61). შედეგად, ყვითელაშვილს ჯამში 272.03 ქულა დაუგროვდა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

მორისს მხოლოდ ორმა იაპონელმა და ამერიკელმა მოციგურავემ გაუსწრო. მსოფლიოს ჩემპიონატზე ყვითელაშვილისთვის აქამდე საუკეთესო შედეგი მე-13 პოზიცია იყო.

◎ სხვა მრავალიც!

ტოჩინოშინის მეცხრე გამარჯვება

ჰარუ ბაშოს მე-14 საშეჯიბრო დღეს ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

ოსაკაში ქართველი სუმოისტი ვაკამოტოჰარუს გაეჯიბრა და ძალიან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. ილეთის შესრულებას ორივე სუმოისტი ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ ტოჩინოშინმა მეტოქეს დაასწრო და იორიკირის ილეთით იმარჯვა.

ლევანის აქტივში 9 გამარჯვების საპირწონედ 5 მარცხი და დადებითი ბალანსი ცხადია განაღდებული აქვს.

გაზაფხულის პირველი სუპერტურნირის ბოლო საშეჯიბრო დღეს, ჩვენებური მე-11 მაეგაშირა მიოგირიუს შეხვდება, რომელთან ურთიერთშეხვედრებში 29 ბრძოლიდან უარყოფითი ბალანსი აქვს — 13 მოგება და 16 მარცხი.

◎ ხალიჩაზე

უკეთ, ვიდრე პოლონეთში

როგორც მოგეხსენებათ, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატიდან, რომელსაც ვარშავამ უმასპინძლა, ქართველი ფალავნები სამშობლოში ცხრა მედლით (1 ოქრო, 2 ვერცხლი და 6 ბრინჯაო) დაბრუნდნენ.

აღნიშნული შედეგის გაუმჯობესებას „ჯვაროსნები“ ბუდაპეშტში დაწყებულ წლევანდელ კონტინენტურ ფორუმზე შეეცდებიან, სადაც წარმომადგენელი ვაჟთა ყველა წონაში გვეყოლება — სულ 20 მოჭიდავე. გულშემატკივარი განსაკუთრებული ინტერესით თავისუფალი სტილის ლეგენდების — გენო პეტრიაშვილისა და მისი ღირსეული თურქი მეტოქის ტაჰა აკგულის მორიგ სავარაუდო ორთაბრძოლას ელოდება, რასაც ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე დადებული შემდეგი სტრიქონებიც მოწმობს:

„უნგრეთის დედაქალაქში საასპარეზოდ 400-ზე მეტი მოჭიდავე დარეგისტრირდა, რომელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიადების პრიზიორებსაც ვხვდებით. მათგან ყველაზე გამორჩეულები თურქი ტაჰა აკგული და ქართველი გენო პეტრიაშვილი არიან. შარშანდელ ევროპირველობაზე გამარჯვება აკგულს დარჩა, რომელმაც უმთავრეს მეტოქეს პირველივე წრეში აჯობა, მას მერე კი ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, არადა, მუნდიალსა და ოლიმპიადაზე ორივე გამოვიდა“.

დაბოლოს: ეს პირველი ევროფორუმია, სადაც უკრაინაში შეჭრის გამო დასჯილი რუსეთის გუნდი არ მონაწილეობს.

საქართველოს ნაკრები

თავისუფალი ჭიდაობა: ბექა ბუჯიაშვილი (57), თეიმურაზ ვანიშვილი (61), ბექა ლომთაძე (65), ზურაბ იაკობიშვილი (70), გიორგი სულავა (74), ვლადიმერ გამყრელიძე (79), ტარზან მაისურაძე (86), მირიან მაისურაძე (92), ელიზბარ ოდიკაძე (97), გენო პეტრიაშვილი (125).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:

ნუგზარ წურწუმია (55), ფრიდონ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), რამაზ ზოიძე (67), შმაგი ბოლქვაძე (72), ბექა მამუკაშვილი (77), გელა ბოლქვაძე (82), რობერტ კობლიაშვილი (87), რევაზ ნადარეიშვილი (97), იაკობ ქავჯაია (130).

◎ 64



გაზეთ საქართველოს რესპუბლიკაში, 2022 წ-ის 10 იანვარს, გამოქვეყნებულის სახეცვლილი ეტიუდი.

ოთარ შონია

8 7 6 5 4 3 2 1

a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ.1.მფg2; 2.ეეc5,c7; 3.ჯჯd6,g6; 4.მg3; 5.ჯჯd4,g3,d3,e4,h6.

შვ.1.მფg8; 2.ლf5; 3.ეეd8,f8; 4.ჯf7; 5.ममd7,c8; 6.ჯჯg4,d7, e5,f6, g5, h7.

ამოხსნა

1.მg3:f5 მc8:g6 2.მf5-e7+ მფg8-h8
3.ჯd4-d5 მg6-c8 4.ჯd6:c8 მd7:c8
5.ეc7:c8 ეf8:c8 6.ეc5:c8+ ეd8:c8
7.მe7:c8 ჯg5-g4 8.ჯd5-d6 ჯg4-g3
9.ჯd6-d7 ჯg3-g2 10.ჯd7-d8ლ ჯg2-g1ლ
11.მc8-d6+ ლg1-g8 12.მd6:f7×

შაქათი მე-12-ე სვლაზე

◎ კვლავ ძველ ფორმაში

შოთას გოლი ლეგენდების მატჩში

გოლი „რეინჯერსის“ მაისურით „აიბროქსზე“ 17-წლიანი პაუზის შემდეგ. შოთა არველაძემ ლეგენდების მატჩში ითამაშა, რომელშიც „რეინჯერსი“ და ლუიშ ფიგუს გუნდი დაუპირისპირდნენ და ანგარიშიც გახსნა.

არველაძემ 39-ე წუთზე რონალდ დე ბურრის ფლანგური პასის მერე თავური დარტყმით ვარდნაში ძალიან მაგარი გოლი შეაგდო. პირველი ტაიმი ასეც დასრულდა, მეორე ტაიმში კი ფიგუს გუნდი უკეთ ათამაშდა, ჯერ კარლოს მარჩენამ გაიტანა, მერე ნუნუ გომეშმა და რიკარდო კუარეჟმამ. საბოლოოდ ანგარიშს პოლ გასკოინმა დაუსვა წერტილი. „რეინჯერსი“ 2:3 დამარცხდა. თამაში გლაზგოური გუნდის დაარსების 150 წლისთავს მიეძღვნა და საქველმოქმედო ხასიათიც ჰქონდა.

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს „აიბროქსზე“ დავბრუნდი ლეგენდების მატჩში. წარმოუდგენელი გრძნობაა ამ მაისურით კიდევ ერთხელ თამაში და გოლის გატანა“, — წერს შოთა სოციალურ ქსელში. შეგახსენებთ, შოთა არველაძე „რეინჯერსში“ 2001-2005 წლებში ირჯებოდა და 132 შეხვედრაში 57 გოლი გაიტანა.

◎ დაცემა

გველი უბიდან იგესლება

წარმოუშობით ყირიმელი დიდოსტატი სერგეი კარიაკინი ადრე უკრაინის სპორტულ ღირსებას იცავდა, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ სიმფეროპოლის მკვიდრმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და იმ დონემდე დაეშვა, რომ ღიად დაუჭირა მხარი უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიას.

ფიდე-ს სასჯელმაც არ დააყოვნა — რუს დიდოსტატს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, რასაც საკუთარ ტელეგრამ-არხზე შერისხულის მიმართვა მოჰყვა:

„მივმართავ ადეკვატურ უკრაინელებს. მჯერა, რომ ასეთები უმრავლესობაა!

გესმით თუ არა, რომ საომარი მოქმედებების თვალსაზრისით, უკრაინას შანსი არა აქვს და უაზრო ომის გაჭიანურებით თქვენ ახალი მსხვერპლის პროვოცირებას ახდენთ?

ვიმეორებ — განწირულნი ხართ, რადგან ნატომ გადაგაგდოთ, ევროპული ქვეყნები კი თითქოს გეხმარებიან, მაგრამ ფაქტია, რომ გავლენას ვერაფერზე ახდენენ.

თავს ნუ მოიტყუებთ იმით, რომ რუსეთი სწრაფად ვერ მიიწევს წინ. იგი უბრალო მოქალაქეებს იცოდებს და სპეციალურად არასოდეს ესვრის ცოცხალ ფარად გამოყენებულ მშვიდობიან მოსახლეობასა და მათ სახლებს. მხოლოდ ამიტომ არ დაცემულა ჯერ კიევის რეჟიმი, თუმცა ეს მხოლოდ დროის საკითხია.

და, რაც მთავარია, ბოლომდე შეეცდებიან თქვენს დაჯერებას, რომ ომში იმარჯვებთ. ერთ ფეიკს მეორე მოსდევს და ასე უსასრულოდ. უკრაინის თავდაცვის სამინისტრო გაავრცელებს ანგარიშებს იმის შესახებ, რომ ჩამოაგდეს მტრის 500 თვითმფრინავი და გაანადგურეს ასობით ათასი ჯარისკაცი. შემდეგ კი... ისინი უბრალოდ დანებდებიან.

სწორედ ასე იყო 1945 წელს გერმანიაშიც — კარგად აწყობილი პროპაგანდისტული მანქანის წყალობით რიგით გერმანელებს ბოლო მომენტამდე სჯეროდათ, რომ ისინი იმარჯვებდნენ. იგივე ხდება დღესაც.

ნუ ახდენთ ზედმეტი სისხლისღვრის პროვოცირებას. თქვენს მთავრობას ერთადერთი ამოცანა აქვს — გაიგრძელოს აგონია. ამისგან კარგად არავინ იქნება, გარდა ამ მთავრობისა, რომელიც მცირე ხნით გაიხანგრძლივებს არსებობას უბრალო უკრაინელთა ხარჯზე.

შეწყვიტეთ სისხლისღვრა და არავინ შეგეხებათ. ეს თქვენივე ინტერესებშია! მაგრამ თუ მაინც დაემორჩილებით კიევის რეჟიმს... აღარ თქვათ, რომ არავის გაუფრთხილებიხართ...

სულთათანა

სამშობლოს უკეთეს მომავალზე მომღერალი პოეტი



დილარ ივარდავას არდავიწყება

ქართულმა სამწერლო ოჯახმა მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი **დილარ (დილიკო) თომას ძე ივარდავა.**

დილარ ივარდავა თითქმის 70 წლის განმავლობაში ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და თავისი წვლილიც შეჰქონდა ქართული მწერლობის განვითარებაში.

დილარ ივარდავა დაიბადა 1940 წლის 28 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტად, რომელიც 1963 წელს დაასრულა. მას შემდეგ დილარ ივარდავა აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და მუდამ სიკეთისა და სათნოების უკეთილშობილეს იდეალების მსახურად გვევლინებოდა.

1957 წელს კი ამ მშვენიერი შემოქმედის სამწერლო ხელდასხმა შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „დიოსკურია“. ეს საოცრად ტკივილიანი და სევდიანი ლექსი აფხაზეთს ეძღვნებოდა, რომელშიც ავტორმა ჯერ კიდევ როდის იწინასწარმეტყველა საქართველოს ამ უმშვენიერესი და მრავალჭირგადანახადი კუთხის დღევანდელი ტრაგიკული ხვედრი, შეადარა რა ის ზღვაში ორივე მუხლით ჩაჩოქილ გოლიათს. ლექსმა ჟამთა სვლას გაუძლო და მსოფლიოს ხალხთა 30 ენაზე ითარგმნა.

მას შემდეგ დილარ ივარდავას ლექსები, მხატვრული თარგმანები, ესსეები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ხვდებოდა დილარ ივარდავას ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „ასე იწყება ლერწმის შრიალი“, „ლარჭემის ხმები“, „ჩუქურთმა ქვაზე“, „ჟამი“, „თიბათვე“, „გაფრენილი ციცარი“, „ჟამი გოდებისა“, „ჟამი მოხდომისა“, „ჟამი მწუხრისა“, „წარმართული ელეგიები“. პოეტის მეგობრები გულის სიღრმემდე შეძრა ამ ბოლო კრებულმა, მარადიული სიყვარულისა და ერთგულების ჰიმნმა, რომელიც მან მისი ცხოვრების თანამგზავრისა და მუზის, ანტონ ფურცელაძის ღირსეული შთამომავლის ქალბატონი ცირას ხსოვნას მიუძღვნა.

დილარ ივარდავას სულ ჰქონდა გასიგრძეგანებული, თუ რა მძიმე, მრუმე ღრუბლებით იფარებოდა მისი საესავი სამშობლოს ცა და მაინც ურყევად, მტკიცედ სწამდა, რომ სამაჩაბლოს მუხაც და პიტიუნტის ბზაც სულ მალე ძველებურად ამოისუნთქავდნენ და დაიბრუნებდნენ ოდინდელ ლაზათსა და ანდამატს...

დილარ ივარდავას პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. მისი ლექსები შესულია არაერთ ანთოლოგიაში...

დილარ ივარდავას თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ადამ მიცკევიჩის, ალექსანდრ ბლოკის, მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ტარას შევჩენკოს, მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, იანკა კუპალას, ალექსი ლასურიას, პლატონ ბებიას, კოსტა ხეთაგუროვისა და სხვათა შემოქმედებას.

დილარ ივარდავას კალამს ეკუთვნის ძალზე საინტერესო ლიტერატურულ-ბიოგრაფიული ესსეები ვიქტორ ჰიუგოზე, ო' ჰენრიზე, ერიჰ მარია რემარკზე, პაბლო ნერუდაზე, ანტონ ჩეხოვზე, ალექსანდრ გრიბოედოვზე, ჰანს-ქრისტიან ანდერსენზე, მამა-შვილ დიუმებზე...

დილარ ივარდავას მინიჭებული ჰქონდა დავით აღმაშენებლის, მემედ აბაშიძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, სსრკ კომკავშირისა და საქართველოს კომკავშირის პრემიები, საერთაშორისო ახალგაზრდული პოეზიის ფესტივალის პირველი პრემია...

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ დილარ ივარდავა — მშვენიერი შემოქმედი, პიროვნება და მამულიშვილი, რომელსაც ზეციურ საქართველოში გაჰყვა ოცნება სამშობლოს უკეთეს მომავალზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

უახლოესი მეგობრები რაულ ჩილაჩავა, ვაჟა თორდია, ბონდო ჯიძია, კლიმენტი ჯანჯღავა, გივი სოსელია, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ვაჟა ფიფია, გურამ ფიფია, ზაურ კალანდია, ლერი ჭითანავა, ჯემალ კვირტია, ლაშა გვასალია, ედემ კვირტია, მურმან ნაჭყებია, გული აგუმავა, კლიმენტი კიკალიშვილი, გიგლა ალშიბაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ქართველი პოეტის, მრავალი სახელმწიფო და ლიტერატურული პრემიების ლაურეატის, პატრიოტისა და მამულიშვილის

დილარ ივარდავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და საახლობლოს.

მოგონება

გამორჩეულად ნაყოფიერი მათემატიკოსი

ნოდარ მახვილაძე – 90

ცნობილ მათემატიკოსსა და მექანიკოსს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს ნოდარ მახვილაძეს 29 მარტს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

ნოდარ მახვილაძე დაიბადა თბილისში. 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1955 წელს სპეციალობით — მათემატიკოსი.

1955-1959 წლებში მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე ასისტენტად. 1959 წლიდან კი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) თეორიული მექანიკის კათედრაზე და გაიარა გზა ასისტენტობიდან პროფესორის თანამდებობამდე.

1974 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1970-2006 წლებში იყო თეორიული მექანიკის კათედრაზე არსებული მეთოდური კომისიის ხელმძღვანელი; 2005 წლიდან — საქართველოს მექანიკოსთა კავშირთან არსებული პროფ. ა. გორგიძის სახელობის სამეცნიერო-მეთოდური სემინარის სწავლული მდივანი. ბატონმა ნოდარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის აღზრდაში.

ბატონი ნოდარი იყო მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი და რედაქტორი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი (2006-2009 წწ.), მექანიზმებისა და მანქანების მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი (2014 წლიდან). აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს გარეთ ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი თემატიკა ეხებოდა დრეკადობის მათემატიკურ თეორიას. ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 15 სახელმძღვანელოს, ამოცანათა კრებულისა და მეთოდური სახელმძღვანელოსი თეორიულ მექანიკაში.

ნ. მახვილაძე პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად იკვლევდა მათემატიკური მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საკითხებს, რომელთაც მიუძღვნა 11 მონოგრაფია.

2008 წელს იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მიერ ნ. მახვილაძე დაჯილდოებულია საზოგადოების პრემიითა და მედლით — „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით 2012 წელს დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით. ნოდარ მახვილაძე გარდაიცვალა 2022 წელს. ბატონი ნოდარის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების მეხსიერებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაცია 4 აპრილს სრულდება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეახსენებს აბიტურიენტებს, რომ რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 4 აპრილს სრულდება. მეთორმეტეკლასელთა მეტი ინფორმირების მიზნით ცენტრი კიდევ ერთ ღია კარის დღეს მართავს, რომელიც მთლიანად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნება, — ამის შესახებ ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საინფორმაციო შეხვედრა 31 მარტს, 12:30 საათიდან 13:30 საათამდე Microsoft Teams-ის პროგრამის საშუალებით ჩატარდება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

აბიტურიენტების კითხვებს უპასუხებენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი სოფიო გორგოძე და ცენტრის საგამოცდო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი მაია გაბუნია. გამოსაცდელები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას, თუ როგორ და სად უნდა გაიარონ რეგისტრაცია, რომელია ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები, რა უნდა გაითვალისწინონ საგანმანათლებლო პროგრამების არჩევისას და სხვ.

საინფორმაციო ხასიათის ონლაინ შეხვედრები აბიტურიენტებთან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით დეკემბრის თვიდან იმართება. მომდევნო ღია კარის დღის შესახებ ინფორმაცია ცენტრის ვებგვერდზე მომავალი კვირის დასაწყისში განთავსდება.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს ეროვნული სტენდი ლონდონში



2022 წლის 5-7 აპრილს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და მწერალთა სახლი ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნულ სტენდს წარადგენენ.

საქართველო ლონდონის წიგნის ბაზრობაზე უკვე მერვედ იღებს მონაწილეობას და ტრადიციულად, ბრიტანულ წიგნის ბაზარზე ქართველი ავტორებისა და გამომცემლების პოპულარიზაციას ემსახურება. საქართველოს ეროვნულ სტენდზე, რომელიც 18 კვ. მეტრს შეადგენს, წარმოდგენილი იქნება 200-მდე დასახელების ახალი ქართული გამოცემა, ასევე ქართველი გამომცემლების, მწერალთა სახლისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ მომზადებული კატალოგები. დამთვალიერებლებს სტენდზე 2016-2020 წლების ქართული წიგნის ბაზრის კვლევის ნახვაც შეეძლებათ. ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება უკრაინის თემაზე შექმნილი მხარდამჭერი ილუსტრაციები, რომლებიც ქართველმა ილუსტრატორებმა გიორგი გაგოშიძემ, სონია ელიაშვილმა, გიორგი ჯინჭარაძემ და თეონა ჭანიშვილმა სპეციალურად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად შექმნეს.

„ზეკარის“ მრავალჟამიერი ამერიკიდან... უკრაინას!

ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ პრინსტონში, ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსებმა, სხვა დიასპორების წარმომადგენლებთან ერთად, უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. კონცერტზე შესრულდა ევროპული და ქართული კლასიკური მუსიკა, მათ შორის ამერიკაში მოღვაწე კომპოზიტორის დავით ჭკუასელის ნაწარმოებები.

ამერიკაში მოქმედ ანსამბლ „ზეკარის“ წევრებმა ტრადიციული ქართული სიმღერები „სულიკო“ და „მრავალჟამიერი“ შეასრულეს. საღამოს აშშ-ში მცხოვრები უკრაინელებიც ესწრებოდნენ. კონცერტზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე მოქმედ საერთაშორისო ფონდში გადაირიცხა.

„ოსკარის“ რჩეულნი

ლოს-ანჯელესში ამერიკული კინოაკადემიის პრემიის „ოსკარის“ დაჯილდოების 94-ე ცერემონია გაიმართა.

წლის საუკეთესო ფილმად „CODA“ დასახელდა. საუკეთესო რეჟისორი ჯეინ კემპიონი გახდა, ფილმისთვის „ძაღლის ძალაუფლება“. „ოსკარი“ კაცის საუკეთესო როლისთვის უილ სმიტს ერგო („მეფე რიჩარდი“), საუკეთესო ქალ მსახიობად კი ჯესიკა ჩესტეინი აღიარეს („ტემი ფეიმს თვალები“). საუკეთესო ანიმაციური ფილმი „ენკანტო“ გახდა, „ოსკარი“ საუკეთესო ორიგინალური სცენარისთვის კი კენეტ ბრანამ მიიღო ფილმისთვის „ბელფასტი“. კატეგორიაში „საუკეთესო სიმღერა“ ბილი აილიშმა გაიმარჯვა კომპოზიციისთვის No Time To Die.

დენი ვილნევის „დიუნმა“ 6 ჯილდო მიიღო, თუმცა ყველა ტექნიკურ ნომინაციებში.

შონ პენი უკრაინის მხურვალე მხარდამჭერია

ჰოლივუდის მსახიობი, შონ პენი უკრაინაში ჩავიდა, რათა დევნილებისთვის განკუთვნილი საკუთარი საქველმოქმედო პროგრამების ორგანიზებას პირადად დაეხმაროს. მსახიობმა ლვოვში გადაღებული ფოტო Twitter-ზე გამოაქვეყნა. ომის დაწყების დროს შონ პენი უკრაინაში იმყოფებოდა, სადაც ის დოკუმენტურ ფილმს იღებდა. ამის შემდეგ მისმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ უკრაინელი ლტოლვილების პოლონეთში განთავსებისა და განათლების უზრუნველყოფა დაიწყო.

დიდმარხვის მესამე კვირა ჯვრის თაყვანისცემა



27 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მესამე კვირიაკეს შეხვდა პატიოსანი ჯვრის საკურთხევლიდან მლოცველთა წინაშე გამობრძანებით...

მლოცველნი და ეკლესიის მსახურნი მთელი კვირა თაყვანს სცემენ და ეამბორებიან მინდვრის ყვავილებით შემკულ ჯვარს, შემდეგი ტროპარით: „ჯვარსა შენსა თაყვანს ვცემთ მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ და ვადიდებთ“. ამ დღესასწაულზე შესრულებული წესით წმინდა მართლმადიდებელის სამოციქულო ეკლესია შეგვაგონებს, რომ ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვიძარების, მხნეობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარხვით დაუღლელობის სიმბოლოს.

„კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“

„კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, — ასე ჰქვია კულინარიულ გზამკვლევს, რომელშიც 110-მდე კერძია შეტანილი. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, წიგნი, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მოამზადა, ნაკლებცნობილი და მივიწყებული კერძების, დესერტებისა და წასახემსებლების რეცეპტები, ფოტოები და კერძთან დაკავშირებული ტრადიციებია განთავსებული.

„კულინარიული ექსპედიციისას ჩატარებულმა კვლევამ ისეთი კერძებისა და დესერტების გაცოცხლებას შეუწყო ხელი, რომლებსაც ადგილობრივებიც აღარ იცნობენ და იყენებენ კვებისას. სირვალი, მოთრიელა, ჭინჭრიბუხი, ფესტილშორვა, ქათმის ფიფინა, ყაფლამა იმ კერძებს შორისაა, რომელთა რეცეპტებსაც დაინტერესებული პირები კულინარიულ გზამკვლევში ნახავენ“.

ვინაიდან აჭარული სამზარეულო კერძების ნაირგვარობით და ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება, კულინარიული კვლევა მუნიციპალიტეტების, ხეობებისა და იაილების მიხედვით განხორციელდა. ის მოიცავს როგორც ზემოაჭარულ, ისე ქობულეთურ და ლაზურ კულინარიას.

პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა რომსა და ქუთაისს შორის

ვიზალიბერალიზაციის 5 წლისთავთან დაკავშირებით რომი-ქუთაისი-რომის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა განახლდა. განახლებული რეისს რომიდან 113 მგზავრი ჩამოჰყვა, საქართველოდან რომში კი 170 მგზავრი გაფრინდა. რეისებს კვირაში ორჯერ ავიაკომპანია Wizz air-ი ასრულებს. პირველი რეისის მგზავრებს, საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ორგანიზებით, ტრადიციული საჩუქრები დაურიგდათ.

რუსული სიმბოლო უნდა აიკრძალოს

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირები, რომლებიც გერმანიაში ასო Z-ს საჩვენებლად გამოფენენ, რათა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის მხარდაჭერა გამოხატონ, სისხლისსამართლებრივ დევნას შეიძლება დაექვემდებარონ.

„ასო Z, როგორც ასეთი, რა თქმა უნდა, არ არის აკრძალული, მაგრამ მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება წარმოადგენდეს რუსეთის აგრესიული ომის მოწონებას. რუსეთის აგრესიული ომი უკრაინის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედებაა და ვინც საჯაროდ მოიწონებს ამ აგრესიულ ომს, ასევე შეიძლება სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს“, — აღნიშნა გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ასო Z როგორც მარკირების ნიშანი გამოიყენება უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილე რუსულ სამხედრო მანქანებზე და მას ასევე იყენებენ ის რუსები, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ ომს მხარს უჭერენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 1 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1917; ევრო - 3.5054;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1987;
100 რუბლი - 3.2443; თურქული ლირა - 0.2151;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8821;
1000 სომხური დრამი - 6.5137.

ამინდი 30 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge